



გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამბრაღიის

N2 (9254)

22 იანვარი, 2018 წელი

ფასი 50 თეთრი

ახალი უსაფრთხო მანქანების ლაიხითა და ფასრულებს



2

ბინების დაკანონების კომისია მუშაობას აგრძელებს

3



2

ზამთრის მიუხედავად

ერთხანია ლიცენზირებული ვეფორცხება – მეფობის სამართლებელი

8

340 000 რახი ჰიქრაჰიქ კუბაზუა მიძახილი

2

“ერთად სიკეთის კვალდაკვალ”

6

სამბრაღიის უფასო სასაღილაო ფუნქციონირება დაიწყო

3



ბილიბვიზი – უპირატესობა თუ პრობლემა?!

5



“ჭადრის ოქროსფერი ფოთოლი”

9

ახალი აუსაჯის ბიზნესის დახმარება

ახალი ექსპერტიზის, უფლები, 2016 წლის მოდელი, ახალ წელს მოპყვა სამტრედიისში. ადგილობრივი ბიუჯეტმა მასში 116 ათასი ლარი გადაიხდა. თუ აქამდე ერთი ექსპერტიზის საქმეს ვერ აუდიოდა, ამერიიდან ორს გაუკეთებელი რა დარჩება. ზედამხედველობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი ნოე ივანიძე, საუბრობს იმაზე, რომ: “ნამდვილად გვჭირდებოდა ამგვარი ტექნიკის დამატება. იგი გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურს გადაეცემა სარგებლობაში. ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდა მისი შექმნა.” გამგებლის პირველი მოადგილე ირაკლი სულავე აკონერტებს: “116 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან იქნა მობილიზებული ახალი, 2016 წლის მოდელის GCB-ის ფირმის ექსპერტიზის შესაძენად.” მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც სხვებთან ერთად ესწრებოდა სამტრედიისში ექსპერტიზის ჩამოტანის პროცესს, დასძენს: “ამერიიდან ის სამუშაოები, რომელთა შესრულებაც ხელი რამდენადმე გვეშლებოდა შესაბამისი ტექნიკის არარსებობის გამო, უკეთესად და უფრო სწრაფად შესრულდება. დიან, მოსახლეობის დაკეთიანებას გამომდინარე შევიძინეთ იგი. მოსახლეობის დაკეთიანება და სანიტარული არხებისა და სხვა მსგავსი სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულების მოთხოვნაში მდგომარეობს.”

მუნიციპალიტეტის მერიის წინ 17 იანვარს უკვე ჩაიბარა შესაბამისმა სამსახურმა ახალი ტექნიკა.

თბა ბაგუნაშვილი



ზამთრის მიუხედავად

თბა ბაგუნაშვილი

ჯერჯერობით ისე არ გაუადრებია ზამთარს, ინფრასტრუქტურის განახლებისთვის ხელი შეუქმალა. ბიუჯეტში მობილიზებული ადგილობრივი შემოსავლები საშუალებას იძლეოდა და, სულ რამდენიმე კვირის წინ დასრულებულ გასულ წელს დაიწყო, სულ რამდენიმე კვირის წინ დამდგარ ახალ წელიწადს კი უკვე დასრულდება ის სამუშაოები, ქალაქის ტერიტორიაზე რომ მიმდინარეობს.

შპს “ინდიგო” და შპს “ლატეკსი” ტენდერში გამარჯვებული ფირმებია, რომლებიც შიდა გზების მოპირკეთებაზე მუშაობენ. შპს “ინდიგო” ე.წ. ჩიხებს აწესრიგებს. 7 ქუჩა, ბათუმის, ჯანელიძის

მე-2, 9 აპრილის 1 და 3 შესახვევები, ჩაჩუას, კოსტავას და საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე №2 ავტოსადგურის ტერიტორია ამ ორგანიზაციის მიერ იქნა მოპირკეთებული. ამ ეტაპზე შპს “ლატეკსი” ხიბლარის ქუჩის გაგრძელებასა და ზაქარაიძის ქუჩაზე დაიწყებს სამუშაოებს. საერთო ჯამში ამ 9 ქუჩის მოსაწესრიგებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 205 ათას ლარს დახარჯავს.

უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და საჭირო ყურადღების გამო, სინქარის ამკრძალავი ბარიერები მოეწყობა სკოლებისა და ბაგა-ბაღების სიახლოვეს. შესაბამის სამუშაოებს შპს “მონოლითი” მე-3 საჯარო სკოლის მიმდებარე კაკაბაძის, მე-5 საბავშვო ბა-

ღთან თაბუკაშვილის, მე-2 საბავშვო ბაღთან პაპავას, მე-4 საბავშვო ბაღთან რუსთაველის ქუჩებზე, აგრეთვე, მელაურის და ევრის საჯარო სკოლებთან დაიწყებს. ამისთვის დაახლოებით 20 ათასი ლარია განსაზღვრული.

“ტე უნიონი” გახლავთ ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელიც 44 ათას ლარად სამტრედიისში შემოსასვლელი ხიდის მოაჯირების რეკონსტრუქციას აწარმოებს. სამუშაოები უკვე დაწყებულია.

რუსთაველისა და ჯავახიშვილის კვეთაზე, 450 კვ. მეტრის ფილებით მოპირკეთებას 22 ათას ლარად შპს “ელიტ პროდაქშენი” აწარმოებს. უკვე დასრულების პროცესშია, სანიტარული არხების



გაწმენდა ქალაქის ტერიტორიაზე. შპს “ელიტ პროდაქშენი” სამუშაოს 153 ათას ლარად ასრულებს. ამ ეტაპზე დარჩენილია მხოლოდ წერეთლისა და თამარ მეფის ქუჩებზე არსებული არხების გაწმენდა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების წილობრივი მონაწილეობით, უმოკლეს დროში 10 საერთო საცხოვრებელი სახლის გადახურვა დაიწყება, რაზეც 155 ათასი ლარი დაიხარჯება. სამუშაოები რამდენადმე შეფერხდა, რადგან ტენდერში მონაწილე მშენებელი ორგანიზაციის გამოვლენა დაგვიანდა. ამჯერად კოსტავას №7-ე, ფანჯიყიძის №4-ე, აგრეთვე, ფალაშვილისა და დუნდუას ქუჩებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სა-

ხლების გადახურვითი სამუშაოები მიმდინარეობს.

როგორც ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ტერიტორიის კეთილმოწყობის საკითხებში, ავთანდილ ნაცვლიშვილი აღნიშნავს: “ამ ეტაპზე ეს სამუშაოები გათვალისწინებული იქნა, ისინი ბიუჯეტში ადგილობრივი შემოსავლებით მობილიზებული თანხებით ფინანსდება. განაფხული მოდის და ბუნებრივია, საჭირო ინფრასტრუქტურული ჩარევები და განახლებები მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე დაიგეგმება.”

აღნიშნული სამუშაოების ნაწილი ცოტა ხნის წინ დასრულებული, ნაწილიც დასრულების ფაზაშია.

6060 ნანატარშილი

სკოლამდელ დაწესებულებებში სააღმშრდელი პროცესი სავარაუდოდ 5 თებერვლიდან განახლდება. საბავშვო ბაგა-ბაღებმა შარშან ფუნქციონირება წლებანდელთან შედარებით ადრე დაიწყეს, რაც განპირობებული იყო კვებაზე გამოცხადებული ტენდერის დროული ჩატარებით.

როგორც სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი, ხათუნა გაგუა “სამტრედიის მაცნესთან” საუბარში აღნიშნავს, 2018 წლის ტენდერი უფრო მრავალფეროვანი იყო. თუ შარშან კვებაზე 3 ტენდერი გამოაცხადეს, წელს ციფრი 9-მდე გაიზარდა:

“ ბაგა-ბაღების 2017 წლის ბიუჯეტში 240 200 ლარი გახლდათ კვებაზე გათვალისწინებული. წელს ბიუჯეტის მატებასთან ერთად გაიზარდა თანხა და 340 000 ლარს მიაღწია. 100 000 ლარით გაზრდილი ბიუჯეტი გვაძლევს საშუალებას, გავამრავლოთ ფეროვნით მენიუ. თუკი ადრე ბავშვები კვირაში ორჯერ იღებდნენ საქონლის ხორცს, ამერი-

340 000 ლარი ჭიხრასის კვებაზე მიმდინარეობს

იდან საქონლის ხორცთან ერთად იქნება თევზი, ქათამი, რძის პროდუქტებიდან მაწონი, ყველი, პასტერიზებული რძე, კვერცხი, ფუნთოშა, ალადები. ამასთანავე პატარებს დაემატათ კვებიდან კვებად წახმევა, რაც ითვალისწინებს ხილის მიწოდებას. აგრეთვე მენიუში ექნებათ კანფეტი, ლიმონიანი ჩაი. ყოველი დღის საუზმეში შევა ფაფა, ხოლო სადილად გვექნება პირველი ბოსტნეულით გაჯერებული კერძი, ხოლო მეორე – ან ხორცი, ან ქათამი, ან თევზი თავ-

ისი გარნით.

100 000 ლარით გაზრდილი ბიუჯეტი არის უდიდესი საჩუქარი ჩვენი მუნიციპალიტეტის აღსაზრდელებისთვის. ეს თანხა პირდაპირ მიმართულია კვების გაუმჯობესებაზე. აქვე მინდა, ხაზი გავუსვა იმას, რომ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების 2017 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 1421 000 ლარს, 2018 წელს ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით 1761 000 ლარი გახდა. გარდა საკვების დაფინანსებისა, 20%-ით

გაიზარდა ქსელში მომუშავეთა ხელფასები. პრობლემად გვრჩება შტატების უკმარისობა. კერძოდ, აუცილებლობას წარმოადგენს სპეც. მასწავლებლის დამატება, რაც გამოწვეულია, ბაღებში შშმ ბავშვების მატებით. ასევე აუცილებლობას წარმოადგენს დარაჯების, დიდ ბაგა-ბაღებში კი მზარეულის დამხმარეების დამატება.

მინდა, ვისარგებლო თქვენი სტუმრობით და “სამტრედიის მაცნეს” ფურც-

ლებიდან შობა-ახალი წელი მიველოცო სრულიად საქართველოს, სამტრედიას, განსაკუთრებით ჩვენს აღსაზრდელებს, პედაგოგებს, მშობლებს და მადლობა გადაუხადო სამტრედიის მერიას, განსაკუთრებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას, იმ მზრუნველობისათვის, რაც მან გასწია საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის”.



ბინების დაკანონების კომისია მუშაობას აგრძელებს

6060 ნაბიჯი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, დავით ბახტაძის სამუშაო კაბინეტში 16 იანვარს კომისიის წევრები შეიკრიბნენ და განიხილეს მოქალაქეთა განცხადებები თანდართული დოკუმენტებით. შეგახსენებთ, რომ 2016 წლის 28 ივნისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შეიქმნა "საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის № 189 დადგენილებით დამტკიცებული "კანონიერი მოსარგებლებებისთვის გადასაცემი არაპირდაპირი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრება-

ში გადაცემის წესის" I მუხლის I, II პუნქტებითა და მე-5 მუხლით გათვალისწინებული საკითხთა შემსწავლელი" კომისია, რომლის თავმჯდომარედ დანიშნული იქნა გამგებლის პირველი მოადგილე, დავით ბახტაძე. ზემო აღნიშნული კომისია ამჟამად აგრძელებს ფუნქციონირებას და მერის ბრძანებით კომისიის თავმჯდომარედ კვლავ დანიშნა მერის მოადგილე, დავით ბახტაძე. 16 იანვარს შეკრებილმა კომისიამ 11 მოქალაქის განცხადება განიხილა საცხოვრებელი ფართობის დამტკიცების შესახებ. "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში მერის მოადგილემ, დავით ბახტაძემ შესრულებული სამუშაოების შესახებ ისაუბრა: "წელს კომისია პირველად შეიკრიბა. განვიხილეთ მოქალაქეთა მიერ შემოტანილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებით. თავისი ფუნქციონირების მანძილზე კომისიამ წარ-

მოდგინდა 38 განცხადება. მოსახლეობა ითხოვს მათ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართობის დაკანონებას. კომისიას ძირითადად მიმართავენ მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში და რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ გააჩნიათ საკუთრებაში გადასაცემი ფართობის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციები. აღნიშნული პრობლემა წლების მანძილზე იყო მოუგვარებელი. თავის დროზე საქართველოს პარლამენტში სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატის, ვიორგი კახიანის აქტიური ჩართულობით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის № 189 დადგენილებაში ცვლილებები შევიდა, რომლის საფუძველზე დადგენილებას მე-5 მუხლი დაემატა. ეს უკანასკნელი კონკრეტულად განსაზღვრავს სამტრედიასა და ფოთში მუნიციპა-



ლიტეტების ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით განცხადების წარდგენის და გადაწყვეტილების მიღების წესს. დოკუმენტის ძალაში შესვლის შემდეგ წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემის გადაჭრის საშუალება მოგვეცა. შესაბამისმა კომისიამ 2016 წლის 28 ივნისიდან დაიწყო ფუნქციონირება. სულ განხილული გვაქვს 38

განცხადება. 16 იანვრის სხდომაზე შემოსული 11 განცხადების განხილვის შემდეგ კომისია მიღებული გადაწყვეტილების შესახებ წინადადებას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს. წინასწარ შემოიღია ვიქტორია, ამ ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაციები იძლევა საშუალებას, რომ მიღებული იქნება დადებითი გადაწყვეტილებები ფართობის დაკანონების შესახებ".

სამტრედიის უფასო სასადილო ფუნქციონირება დაიწყო „სახლი თანადგომა“ სსსს-ით

6060 ნაბიჯი

15 იანვრიდან "სახლი თანადგომა" სოციალურად დაუცველ 130 ბენეფიციარს ცხელი კერძებით უმასპინძლებდა. მართალია, უკან ჩამოვიტოვეთ შობა-ახალი წლის დღესასწაულები, მაგრამ სამტრედიის მუნიციპალიტეტმა უფასო სასადილო მოსარგებლები საახალწლო საჩუქრის გარეშე არც წელს დატოვა.

16 იანვარს სადილის დასრულების შემდეგ მთავარმა მზარეულმა, დალი ვეკუამ შეკრებილ საზოგადოებას 2018 წლის დღესასწაულები მიულოცა, მოგვიანებით კი სიტყვა მისაღმებისათვის "სახლი თანადგომა" დირექტორს, ქალბატონ მზევიანარ ბოხუას გადასცა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიამ უფასო სასადილო ბენეფიციართათვის საახალწლო ნობათის შესაძენად 700 ლარი გამოყო. მერიის საჩუქრმა სოციალურად დაუცველები ამჯერად გაახარა.

"სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში უკლებლივ ყველა მათგანი სასადილოს მომსახურებით კმაყოფილებას გამოთქვამს.

მზევიანარ ბოხუა, "სახლი თანადგომა" დირექტორი: "15 იანვარს "სახლი თანადგომა" ჩვეულ საქმიანობას შეუდგა. ამ დღეს, გასულ წელთან შედარებით სამი დღით ადრე, უფასო სასადილოში 130 ბენეფიციარზე მომზადდა 2018



წლის პირველი კერძი. ასევე პური გაიცა პურის პროგრამაში მყოფ ბენეფიციარებს.

კანონის შესაბამისად, ტენდერთან დაკავშირებით, ყოველი წლის ბოლის რამდენიმე დღით ადრე წყდება ბენეფიციარების მომსახურება როგორც სადილოთ, ასევე პურით. ტენდერის დამთავრების შემდეგ ჩვეულებრივ ხდება მუშაობის გაგრძელება.

2017 წლის 18 დეკემბერს, დღის მეორე ნახევარში დამტკიცდა ბიუჯეტი. ჩვენც 19 დეკემბერს გამოაცხადეთ ტენდერი. დამთავრდა თუ არა ტენდერი,

მეორე დღესვე 15 იანვარს გავხსენით სასადილო და ვასადილეთ 130 ბენეფიციარი, 16 იანვარს კი გავვცით საახალწლო ამანათი, რომელშიც შედიოდა ვაშლი, კანფეტი, ლიმონათი; სულ 700 ლარის პროდუქტი. ამანათის ღირებულება ერთ ბენეფიციარზე შეადგენდა 5 ლარსა და 18 თეთრს (გვყავს სადილზე რეზერვში 5 ადამიანი, რომლებზეც ყოველწლიურად საჩუქრს ვცემთ)."

"სახლი თანადგომა" დირექტორის, მზევიანარ ბოხუას თქმით, ბენეფიციარების გაღიზიანებას იწვევს სადილის და პურის შეჩერება, რასაც ტენდერის ჩატ-



არების მოთხოვნები განაპირობებს: "ბუენებრივია, ეს მათ ნაკლებად აინტერესებთ, მათ შიშით და უნდათ საკვები. ცუდია, რომ ყოველივე ეს საახალწლო დღეებში ხდება, მაგრამ არ გვაქვს უფლება კანონს არ დავემორჩილოთ. გვსწავს როგორ პირობებში მუშაობა, მაგრამ მთელი კოლექტივი ვცდილობთ სიმშვიდის შენარჩუნებას. ვუმსახურებით 480 ბენეფიციარს, მათ შორის სადილზე ყოველდღიურად 130-ს, ხოლო პურზე 350-ს. ყველამ კარგად იცის, კატასტროფულად გაიზარდა ფასები პროდუქტებზე, მაგრამ ჩვენს ბენეფიციარებზე ამას არ

უმოქმედა. მუნიციპალიტეტის მერის, ბატონი ვალერიანე ფოცხვერიას გადაწყვეტილებით, შევიწარმეთ ყველა პროდუქტი, რაც მენიუმში გვქონდა. ასე, რომ პრობლემა ჩვენს ბენეფიციარებს არ შექმნიათ და მიხდა, მათი სახელით მაღლობა გადაეუხადო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. ვისარგებლებ შემთხვევით და "სამტრედიის მაცნეს" ფურცლებიდან ჩვენს ბენეფიციარებს მივულოცავ 2018 წელს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, წელთა სიმრავლეს და ბედნიერ, ხალისიან, დღეებს."

კონკურსი "Dream photo" და ლუკა ტულუშის იღბლიანი საშობაო არდადეგები

6060 ნაბიჯი

2017 წლის 12 დეკემბერს ინტერნეტ სივრცეში, კერძოდ "Facebook"-ზე გამოცხადდა ფოტოკონკურსი "Dream photo". ფოტოკონკურსის აზრი შემდეგში მდგომარეობდა: ვინც უფრო მეტ რეაქციას დააგროვებდა ფოტოზე, გამარჯვებულიც ის იქნებოდა. კონკურსში 43-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. გამარჯვებული 14 იანვარს უნდა გამოვლინილიყო. გამარჯვება წილად სამტრედიის სკოლა "ცოდნის" მე-9 კლასის მოსწავლეს, ლუკა ტულუშს ერგო, რომელიც ფოტოსესიით დაჯილდოვდა.

ლუკა ტულუშმა ზამთრის არდადეგებიც ასევე ნაყოფიერად და შინაარსიანად გაატარა ზამთრის ბანაკ "ურეკში".

2018 წლის 8 იანვარს სამტრედიელმა ახალგაზრდებმა გეზი ICSU-ის (Winter camp 2018) ზამთრის ბანაკში, ურეკისკენ აიღეს, სადაც გაიღრმავეს ცოდნა და დაუმეგობრდნენ 8 რაიონიდან ჩამოსულ თანატოლებს. პირველ დღეს ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, აერჩიათ ბანაკის მერი. მერის არჩევნებში რვავე რაიონი იღებდა მონაწილეობას. მის ასარჩევად საჭირო იყო კონკურსის თითოეულ მონაწილეს ეჩვენებინა საკუთარი საჯარო გამოსვლა სხვადასხვა თემაზე. მერის ტიტული სამტრედიის სკოლა "ცოდნის" მე-9 კლასის მოსწავლეს, ლუკა ტულუშს ხვდა წილად. ლუკა 4 დღის მანძილზე ხელმძღვანელობდა ბანაკს. ბოლო დღეს, ბანაკის დახურვისას ურეკს ესტუმრა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია, რომელმაც შობა-ახალი წელი მიულოცა და საჩუქრები გადასცა ბანაკში მყოფ ახალგაზრდებს, ლუკას კი გამორჩეულად მიულოცა ეს დიდი წარმატება.

სოციოლოგები ჰხოვხაძის მოსახვედრებს შეხვდნენ

დენდროლოგიური პარკის ახალი სივრცე

ლიზან ბაბუნაძე

“სამტრედიის მაცნეს” მკითხველებმა უკვე იციან, რომ მზრუნველი გამოჩნდა სამტრედიის დენდროლოგიურ პარკს. ისიც იციან შესაბამის პროექტში წარმატებულად რომ არის ჩართული სამტრედიის მეთერთმეტე საჯარო სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა ერთი ნაწილი.

მუნიციპალიტეტის მერია ისე, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მხარში უდგას პროექტის მონაწილეებს და შედეგს სახეზეა.

12 იანვარს სამუშაო საათები თითქმის სრულდებოდა, როცა შევიტყვევეთ, რომ დედაქალაქიდან, მეთერთმეტე საჯარო სკოლაში, დენდროლოგიურ პარკთან დაკავშირებული პროექტის თაობაზე სტუმრები ჩამოდიოდნენ, რომლებიც იმ ადამიანებს, მედიის იმ წარმომადგენლებს იხ-

გოგი და საქმეში გართული ახალგაზრდა მამაკაცები ადგილზე დაგვხვდნენ.

ლოდინი საკმაოდ მოგვიწია, თუმცა დრო უქმად არ დაგვიყარავს.

კიდით კიდემდე შემოვიარე სკოლის ეზო, დერეფნები, საკლასო ოთახებიც კი, საოცარი სისუფთავე, სი-

კოხტავე, ყველაფერს ემჩნევა მზრუნველი ხელი.

კვლადან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ომში გმირულად დაღუპული სკოლის კურსდამთავრებულთა პორტრეტები გვიმზერენ. ქრონოლოგიური სინუსტითაა, განლაგებული კვლებზე ქართველ კლასიკოსთა ფოტოები.

სპორტულ, კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებებში სკოლის მოსწავლეთა ჩართულობასა და მიღწევებზე ჰყვებიან საპატიო სიგელები, დიპლომები, თვალსაჩინო ადგილზე რომ განუთავსებიათ. სამტრედიელთათვის კარგად ცნობილი ინჟინერი, ბატონი შაქრო ანდლულაძე და სკოლის სპორტის პედაგოგი, ასევე ცნობილი სპორტსმენი, ქალბატონი მანანა ტყეშელაშვილი საქმიანად საუბრობენ. მათთან შევეჩვიე.

“ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, სკოლის დირექტორმა მოსწავლეებს შესანიშნავი საახალწლო საჩუქარი გაუკეთა, როგორც ხედავთ განახლდა და სათანადოდ აღიჭურვა სკოლის სპორტული დარბაზი. ყველაფერი ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს ცხოვრების ჯანსაღი წეს-

ის დამკვიდრებას, სპორტის ნებისმიერ სახეობაში შეეძლება მოსწავლეებს ივარჯიზონ დარბაზში. დიდი მადლობა ქალბატონ ლენას”. – სიხარულს ვერ მალავს ქალბატონი მანანა ტყეშელაშვილი.

დარბაზში კი სამღებრო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება, მოწესრიგებულია გასახდელი ოთახებიც.

ბავშვები ისვენებენ ჩვენ კი არა, – დასძენს ბატონი შაქრო ანდლულაძე.

სკოლა შემოვიარე, ჩვეული სიტბოთი შემეგება სკოლის დირექტორი და უკვე საუბარი მის კაბინეტში გაგრძელდა.

საოცრად ნაყოფიერად გამოუყენებიათ მეთერთმეტე სკოლებს არდადეგების ყოველი დღე.

“860 მოსწავლე გვყავს სკოლაში, წელს ოთხი პირველი კლასის გახსნის საშუალება მოგვეცა, ეს ესაა დავასრულეთ სველი წერტილების მოწესრიგება სკოლის სასადილოში,

ლილი აქვს დირექტორს, გვწამს მიუღწეველი არაფერია, თუკი ისეთი ერთსულოვნება და მონდომება იქნება, როგორც მეთერთმეტე საჯარო სკოლაში 12 დეკემბერს ვიხილეთ.

ჟურნალები მოვაწვსრიგეთ, ნახვამდის, თბილად ემშვიდობებიან დირექტორს პედაგოგები.

ერთი რამ ნამდვილად აღსანიშნავია, სკოლაში 900-მდე ბავშვი სწავლობს და არც ერთ დერეფანში, ერთ უხამს წარწერას, ნაკარსაც კი ვერ შენიშნავთ. მოსწავლეთა მაღალხეობრიობაზე მეტყველებს ყოველივე, რაც თავისით, რა თქმა უნდა, არ მოდის.

“სკოლა საბაზოა, დიდი სურვილი მაქვს სამ-

ინისტრომ სკოლის კოსმეტოპურ რემონტზეც იზრუნოს, შეხვედრები სამინისტროს (განათლების) წარმომადგენლებთან, სხვა მაღალჩინოსნებთან, ტრენინგები, თათბირები და ა. შ. ძირითადად ამ სკოლაში ტარდება. 10 წელი ზღვება რემონტი არ ჩატარებულა და თუ ეს მიხერხდება, აუცილებელიცაა და საჭიროც.” – მოკრძალებით განაგრძობს საუბარს დირექტორი.

ლამის ხუთი საათი სრულდებოდა, როცა თბილისელი სტუმრები სკოლაში მოვიდნენ.

ორგანიზაცია “ორბელ-იანი საქართველოს” სოციოლოგები, ქალბატონები ანა კენჭაძე და ნინო სინაურიძე თბილად მოგვესალმნენ და მათი ჩამოსვლის მიზანზეც გვითხრეს დაწვრილებით, ამომწურავად.

გაირკვა, რომ მათი მისია პროგრამის მოსარგებლეთა გამოითხვა გახლდათ, მოსარგებლე კი ყველა ის ადამიანია, ვინც რაღაცით მაინცაა დაკავშირებული პროექტთან დენდროლოგიური პარკისათვის ახალი სივრცის მინიჭებას, პარკის განახლებას რომ უკავშირდება.

საუბარი ინდივიდუალურად მიმდინარეობდა.

მოსარგებლის სტატუსით აღჭურვილმა სოციოლოგებს ჩემი ის მოსაზრება გაეუხიარე, რომლის შესახებაც ამას წინათ “სამტრედიის მაცნეში” ვწერდი.

ვიმეორებ, სამტრედიის დენდ-



მობდნენ, რომელთაც სხვადასხვა დროს პროექტის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპები გააცნეს საზოგადოებას.

მეთერთმეტე საჯარო სკოლაში ვართ.

საახალწლო (ზამთრის) არდადეგებია. საოცარი სიჩუმეა სკოლის ეზოში, დერეფნებში.

უზარმაზარ შენობაში საღებავების სუნი ტრიალებს.

სკოლის დირექტორი ქალბატონი ლენა ხაჭალაია, რამდენიმე პედა-



გერძოდ გამოვცვალებთ ნიჟარები, ამიერიდან მოსწავლეები ჭამის წინ და ჭამის შემდეგ ხელს თბილი წყლით დაიბანენ. ცხელ წყლის არსებობა სამუშაოს სასადილოს თანამშრომლებსაც გაუადვილებს და სანიტარულადაც გამართლებულია. განახლებული სპორტული დარბაზი უკვე გინახავთ, ყველაფერი ჩვენი ძალებით, სკოლის ბიუჯეტით გაგვიკეთეთ”.

– გვეუბნება ქალბატონი ლენა და სამომავლო გეგმებზეც გულდაიდ გესაუბრება.

ფსიქოლოგის მოწვევა, რადიოვანძის დამონტაჟება... გეგმები მართლაც დროული და კარგად გათ-

ლოლოგიური პარკის აღდგენა-განახლებაში მეტერთმეტე საჯარო სკოლელთა ჩართულობა უდიდესი პატრიოტული, მამულშვილური საქმეა. სახეზეა პირველი ნაბიჯები, არსებობს მუშაობის გაგრძელების კარგად გაწერილი სამომავლო გეგმა.

მისასალმებელია, რომ პროექტს არა მხოლოდ მხარს უჭერს, არამედ პროექტში ჩართულნი არიან სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია და მერი ბატონი ვალერიანე ფოცხვერია, მერის მოადგილე, ბატონი დავით ბახტაძე, მერიის პასუხისმგებელი პირები.

მონდომება საქმის ნახევარიაო, უთქვამთ. მონდომება კი ნამდვილად არ აკლია პროექტში ჩართულ სამტრედიელებს, რომელთა რიგები აუცილებლად უნდა გაფართოვდეს და სამუშაოებიც, პარკის განახლებას რომ უკავშირდება მასშტაბური უნდა გახდეს.

პროექტისადმი საკუთარ პოზიტიურ დამოკიდებულებას აფიქსირებდა 12 ნოემბერს სოციოლოგების წინაშე თითოეული გამოკითხული – პროექტის ყველა მოსარგებლე.

ვტოვებთ მეთერთმეტე საჯარო სკოლას, თბილად გვემშვიდობება სკოლის დირექტორი ქალბატონი ლენა ხაჭალაია, ქალბატონი, რომელიც ისევე დაფიქრებული 860 მოსწავლის ბედზე, როგორც საკუთარ სამ შვილსა და ექვს შვილიშვილზე, მათ მომავალზე და ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ კიდევ უფრო ხალისიანი, დასამახსოვრებელი იყოს თითოეული ახალგაზრდისათვის სკოლაში გატარებული წლები, შეიარაღდნენ მტკიცე ცოდნით, რათა მათი სახით ღირსეული ერისშვილები აღეზარდოს საქართველოს.

ნათიან მანჯგალაძე

მეხიის ნაძვის ხის ზეიმი – ტყედიცა გიძელება

მერიის ნაძვის ხის საზეიმო მიღება ჩვენს მუნიციპალიტეტში ტრადიციულად იქცა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა ამჯერადაც უმასპინძლა საუკეთესო ღონისძიებას, რომელიც მერიის მხარდაჭერითა და განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის (უფროსი ნატალია მანჯგალაძე) ორგანიზებით გაიმართა. “მივი და მინი მაუსის კლუბის” მსახიობებმა პატარებს დაუვიწყარი დღე არუქეს. მოწვეული იყო 136 ბავშვი, ისინი სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებიდან იყვნენ. მათი განწყობის ასამაღლებლად იზრუნეს ზღაპრისა თუ მულტფილმების გმირებმა: ფიფქამ, შვიდმა ჯუჯამ, თოვლის ბებომ და ბაბუმ, მინიონმა, სპაიდერმენმა, გოჭმა პეპამ, მივი და მინი მაუსმა.

“ჩემო პატარებო, გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს, ასევე შობა-ახალ წელს ეულოცავ სრულად საქართველოს პატარებს, ეს წელი ყოფილიყოს ჯანმრთელობის, სიუხვის და ყოველივე საუკეთესოს მომტანი. მრავალს დაესწარი!” – მიმართა პატარებს მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ. მან ასევე მიიღო მონაწილეობა ბავშვის გადაწვევაშიც და პატარების მხარდაჭერას თავადაც შეუერთდა.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, დავით ბახტაძე: “ეულოცავ საქართველოს ყველა პატარას ახალ წელს, ასევე ჩვენი მუნიციპალი-



იტეტის პატარებს. სასიამოვნო ტრადიცია დამკვიდრდა ჩვენს მუნიციპალიტეტში – პატარები მერიის ნაძვის ხის ზეიმზე მხარულები და კმაყოფილი არიან. წარმატებებს ვუსურვებ ყველა მათგანს”.

ნატალია მანჯგალაძე: “გრძელდება საუკეთესო ტრადიცია, ამ ღონისძიებას საფუძველი 2014 წელს ჩაეყარა, მომავალშიც გაგრძელდება, რა თქმა უნდა, დღეს აქ იმყოფებიან ბავშვები სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებიდან (10 წლამდე ასაკის), ასევე, შშმ

ბავშვები, დღის ცენტრ “ლამპარის” ბენეფიციარები, ღონისძიებაზე 1600 ლარი დაიხარჯა. მოვიწვიეთ ადგილობრივი მსახიობები “მივი და მინი მაუსის კლუბიდან”. ეულოცავ თითოეულ პატარას ახალ წელს, საქართველოს ყველა პატარას ვუსურვებ, ლამაზი და მზიანი საქართველო ჰქონოდეთ!”

ბავშვებმა ლექსები თქვეს, სხვადასხვა თამაშებში შეეჯიბრნენ ერთმანეთს და ბოლოს თოვლის ბაბუმ იხინი ტკბილეულით დაასაჩუქრა.



გილიგვიზი – უპირატესობა თუ პრობლემა?!

არასხალია მეცნიერთა მსჯელობა იმის შესახებ, რა სახის გავლენა აქვს მოზარდზე მშობლიური ენის პარალელური ან უცხო ენის შესწავლას. დღეს, როდესაც ენათმეცნიერებაში მრავალი ახალი დარგი გაჩნდა (სოციოლინგვისტიკა, კოგნიტური ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა) და კვლევის სხვადასხვა მეთოდი დაინერგა, აღინიშნულ საკითხზე არაერთგვაროვანმა მოსაზრებებმაც იმატა.

ვიდრე ორენოვნების შესახებ ვიტყვოდეთ, უმჯობესია, პირველ ყოვლისა, განვსაზღვროთ, მშობლიური ენა, როგორც ენაა. თუ ჩვენ ბავშვის მიერ ენის ათვისების შესახებ არსებულ თეორიებს მივყვებით, უნდა აღვნიშნოთ, ტრადიციული თეორიის თანახმად, მართალია, ბავშვი (ლინგვისტური თვალსაზრისით) არაერთი ინფორმაციის მატარებელი არაა, მაგრამ მას აქვს უნარი, შეითვისოს ენა იმ კოლექტივისა, რომელშიც იზრდება; რაც შეეხება თანამედროვე თეორიას, მისი მიხედვით, მეცნიერებს მიაჩნიათ, ახალდაბადებულ ბავშვს თან დაჰყვება უნივერსალური ლინგვისტური პროგრამა (არა რომელიმე კონკრეტული ენისა, არამედ – საზოგადო), ამ პროგრამაზე დაყრდნობით კი იგი ახერხებს მშობლიური ენის გრამატიკის სისტემატიზაციას. მართალია, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ბავშვი დაბადებამდე დაპროგრამებული იმისთვის, თუ რომელი ენა უნდა ისწავლოს მან მომავალში (ქართული – ქართულითვის, ჩინელი – ჩინურისთვის და ა. შ.), მაგრამ არცთუ უსაფუძვლოა თვალსაზრისი: ბავშვის მშობლიური ენა შეიძლება გახდეს ნებისმიერი ენა. ამის მაგალითობაც არა ერთ-

თი და ორი მოიძებნება (თუნდაც) ამერიკაში მოხვედრილი ახალშობილი ქართველის მშობლიურ ენად ინგლისურის ქცევის სახით (და – პირიქით).

შემდგომი საუბრისთვის ჩვენ ვსახავთ წინაპირობას, *ბავშვისთვის მშობლიურია ენა იმ მეტყველი კოლექტივისა, რომელშიც იგი იბადება ან გაჩენიდან მალევე აღმოჩნდება და იზრ-*



დება.

სხვა ბავშვის ენობრივი განვითარება, რომ იგი 3-4 წელიწადში მთლიანად ითვისებს მშობლიური ენის ურთულეს სტრუქტურას, მისი გამოყენების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უპრობლემოდ უკავშირებს გარეგანულ გრამატიკულ კანონზომიერებებს.

ამჯერად ჩვენ გვინდა, უკვე მშობლიურ ენაში გაცნობიერებული ბავშვის მიერ მეორე ენის დაუფლების დროს გამოვლენილ თავისებურებებზე შევაჩეროთ ყურადღება. ნათელია, რომ ინტერესის ობიექტი ბილინგვიზია, საყოველთაო მსჯელობის დიქტომიის მიხედვით – უპირატესობა იგი თუ პრობლემათა

გამომწვევი?!

1922 წელს თავის გახმაურებულ ნაშრომში “ლოგოურ-ფილოსოფიური ტრაქტატი” ავსტრიელი ფილოსოფოსი ლუდვიგ ვიტგენშტაინი წერდა: “შეზღუდვა ჩემი სამეცნიერო ენებისა ნიშნავს შეზღუდვას ჩემი სამყაროსი” (“The limits of my language mean the limits of my world”). თითქმის საუკუნის შემდეგ სა-

თვალსაზრისობისათვის ვისაუბრებთ ერთი რეალური მაგალითის შესახებ. მოგახსენებთ საქართველოში დაბადებულ და გაზრდილ 10 წლის ბიჭზე, პირობითად, დავითზე (დედ-მამით ქართველზე), რომელიც, ჩვეულებრივ, სკოლის მოსწავლეა, ირიცხება სპორტულ თუ სხვა მრავალი სახის წრეებში და რომლის სამეტყველო კავშირი თანატოლებთან, მშობლებთან, ნაცნობ-უცნობთან ქართულ ენაზე ხორციელდება. დასაწყისში ხაზგასმული ლემის თანახმად, მისთვის მშობლიური ენა არის ქართული, უცხო ენასთან (ამ შემთხვევაში – რუსულთან) კონტაქტის ერთადერთი წყარო კი – ტელევიზია და ინტერნეტსივრცე.

10 წლის ბავშვის ინტერესი, მეტწილად, მულტიპლიკაციური ფილმებია და დავითიც 4-5 წელია, რაც ეკრანთან უსმენს ბევრი ნახატი პერსონაჟის დიალოგებს რუსულ ენაზე. დროის მონაკვეთის ტუშირება კონკრეტულ სიტუაციაში უმნიშვნელოვანესია, რადგან ისეთი რთული, მტკიცე სისტემის, როგორც ადამიანის სამეტყველო პროგრამა, მოკლე ხანში ტრანსფორმაცია მეტისმეტად ძველია.

ყოველივე ზემოაღწერილის შედეგზე რომ გავამახვილოთ ყურადღება, უნდა ითქვას, 10 წლის ბიჭი უკვე გამართულად საუბრობს რუსულ ენაზე, შეუძლია, მარტივად გაიგოს, გადმოგვცეს არა მხოლოდ მულტიპლიკაციური, არამედ დოკუმენტური ფილმების, ნებისმიერი სახის სატელევიზიო გადაცემისა თუ ტექსტის შინაარსი, ოღონდ ეს ყველაფერი მშობლიურ ენაზე მისი საუბრის ხარისხის დეგრადირების ხარჯზე.

უმჯობესია, რამდენიმე მაგალითით განვავრცოთ თემა. დავითი ასოციალური ხდება იმდენად, რამდენადაც ირგვლივ მყოფთა სამეტყველო ენა “უწვეულია” ამისთვის. მას ურჩევნია, საათო-

ბით იჯდეს და უსმინოს რუსულ ტელეინტერნეტ გადაცემებს, ხოლო თუ ვინმესთან გამოლაპარაკება დასჭირდება (და არა – მოუნდება), თვალისადაც ბავშვები რამდენიმე წინადადებას ქართულადაც იტყვიან.

კერძოდ კი, რა სახისაა ეს თვალმისაცემი დაბრუნებები: უწინარესად, სინტაქსურად გაუმართავი ფორმები, ქართულისათვის არაბუნებრივად მკვეთრი მახვილი, სიტყვები ფლექსიური (ფორმის მცვლელი) აფიქსების გარეშე, ქართული ენისთვის დამახასიათებელი ერგატული კონსტრუქციის უგულვებელყოფა (მოქმედი პირის, სუბიექტის, გაუფორმებლობა მოთხრობითი ბრუნვის ნიშნით) და ა. შ. (ნომუმად: “ბავშვები აქვთ საავადმყოფოში”, “ახლა დედა ცუდად” – “მამა სეჩინს პოლი”, “ხვალ უფრო მზად იქნება სხვა”, “შერლოკ ჰოლმსი გამოძიება დაამთავრა”, “ის მაღალი – “ონ ვისოკა”, რუსულში ხორხისმიერი “პაე” თანხმობის არარსებობის გავლენით ქართულად დასტურის გამოხატვული შორისდებულის გადმოცემა, როგორც “აგა”, – ქართ. “აპა” და სხვა.).

თუ დავუძვარებთ იმ სამეცნიერო კვლევას, რომლებშიც ბავშვის მიერ ენის სტრუქტურის სიღრმისეულად წარმოდგენის (რეპრეზენტაციის) ფაზებია ნაჩვენები, შეგვიძლია ვთქვათ, დავითმა ჯერ ქართული ენის ასათვისებლად დაიწყო ამ ფაზების გავლა, მაგრამ ქართულს რუსული ჩაენაცვლა და მშობლიური ენის თვისობრივი მახასიათებლებიც სწორედ მან შეიძინა.

რთულია აღინიშნოს, რამდენად იქონია მავნე შეგავლენა 10 წლის ბიჭის გონებრივი განვითარების მარჯვენებულზე ორენოვნების ფაქტორმა, თუმცა თუ საკითხს ვერბალური ბიპევიორიზმის (თუნდაც ფსიქოგენურ) დონეზე მივუღებინებთ, ქცევითი გამოვლენების (მეტყველების) მკვეთრი ცვლილების აშკარობას დაჟინებითი მტკიცება არ დასჭირდება.

65005 65638 0730 ლ 0

“ერთად სიკეთის კვლავად”

– ამ სლოგანით გაიმართა საქველმოქმედო ღონისძიება ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში, სოფელ ვამოჩინებულის ზანდოს მთის, წმინდა დიდმოწამე ვითორის სახელობის მამათა ეკლესია-მონასტრის დასახმარებლად. საინტერესო იდეის ავტორები შოუ-ბალეტ “ფანტაზიის” ქორეოგრაფები ქრისტინე ზაქრაძე და ნანა ბებია არიან. მხარდამჭერი კი მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ტატა გოგუაძეა.

ქრისტინე ზაქრაძისთვის ეს უკვე მეოთხე საქველმოქმედო აქციაა. მანამდე შე მღვდელი საქველმოქმედო საღამოები გაიმართა: 13 ივნისის ტრაგედიით დაზარალებულთა დასახმარებლად, ჩვენი თანაკლასიკელი რამან თარგამაძის დასახმარებლად და ფილმ “ექვთიმე ლეთისკაცისადმი” მიძღვნილი. როცა მეგობრებმა ჰკითხეს, შექმნილი თუ არა დადგომოდა გვერდით სოფელ ვამოჩინებულის ზა-

ცეკვები დედასთან, ნანა ბებიასთან ერთად დადგა. “ველაზე მთავარი ჩვენთვის იყო მეუფე საბას ლოცვა-კურთხევა. მაქსიმალურად ვეცადეთ, ღირსულად გავვერთოთ თავი საქმისათვის. კონსულტაცია მოძღვარს, წმინდა დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძრის დეკანოზს, ანტონ ვაშაყიძეს ვთხოვეთ.” – ამბობს ქრისტინე. ულაძეებსი სასცენო დეკორაციები განსაკუთრებულად უმაღლესად განწყობას მაყურებელს. საღამო გაიხსნა ცეკვით მელიქიაზე “თოვლის ფანტელეობი”. ომის თემას მიეძღვნა ცეკვა თანამედროვე ქორეოგრაფიდან “კონტერპორარე”, “ჯარისკაცის მამა”. გიორგი ჩაჩუამ და ქრისტინე ზაქრაძემ ასევე შეასრულეს “ნელი ვალსი” გაა ფანტელის უკვდავ სიმღერაზე “ის აქ არის.” ჯექ ფროსტის ცინიკის გოგონებმა მანწაწა ბიჭუნას სამობაო განწყობა ულაძეებს ვალსით შეუქმნეს. უფროსი ასაკის გოგონებმა იცეკვეს ბოშური, ბალკანური, ფლამენგო, მოლდავეური, ვენური ვალსი, ოსური ლეზგინა, გოგონათა ვალსი, პოლკა, პიპ-პოპი. განსაკუთრებით გაახარა დარბაზი დღის ცენტრ “ლა-მპარის” ალსანდრელის, ირაკლი ხარბიანის გამოჩენამ სცენაზე. ქრისტინე ზაქრაძემ მასთან ერთად იცეკვა. სამობაო “ალილი” შეასრულეს დედა-შვილმა, ირმა ადამიამ და ელენეო შენგელიამ. ას-



ამაში ფონდ “ქართუს”. წელიწადში ასამდე ტაძრის აღდგენა ხდება ამ ფონდის მხარდაჭერით, “ქართუს” 33 მილიონი აქვს დახარჯული კულტურული მეგვიდრობის სააგენტოს მხარდასაჭერად უძველესი ტაძრების აღდგენის მიზნით. გახლდით კულტურული მეგვიდრობის სააგენტოს დასავლეთის მიმართულების კოორდინატორი. პირველი ეტაპი ტაძრის გაწმენდითი სამუშაოები იყო, მერე საძირკვლის გამაგრება, კედლების ამოყვანა, შემდეგ კი, გუმბათის სისრულეში მოყვანა. ამ ტაძრის რესტავრაციაზე სულ 139 000 ლარი დაიხარჯა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ხონისამტრედიის ეპარქიის მმართველი მიტროპოლიტ საბას თანადგომა ამ საქმეში, შემდეგ აღდა ტაძრის სამრეკლო და დაიწყო ღვთისმსახურება.”



ღონისძიების ბოლოს სცენაზე დეკანოზი ანტონი იხმეს: “ერთ-ერთი თეოლოგი ამბობს: იესო, კეთილი იყოს შენი მობრძანება შენს მიერ შექმნილ სამყაროში და ადამიანებს ისე ეცხოვროთ, ჯვარცმა არ დაგჭირვებოდესო, მაგალითად ამ საღამოს ინიციატორებს, ქრისტინეს, ყველას. ამ ბავშვების შემხედვარე იმდენი იყვები ადამიანი, გილოცავთ, რომ საქართველოს ასეთი მომავალი ჰყავს, მგონი, ბავშვების ტბის ძირას მდებარე აკვანი დაირწა, ეს ადამიანები ახალ სიტყვას იტყვიან ქართულ კულტურაში და ქრისტინელ სულიერებით გაჯერებულ ახალ სინამდვილეს შემოგვთავაზებენ. დღეს საქართველოში სარწმუნოების დეფიციტია, მაგრამ ასეთი საღამოებით იგი ამოივსება. ეკლესიას და მონასტერს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ქართველი ადამიანის სულიერებაში

და მას ვერავინ წაშლის”
“სამტრედიის მაცნეს” ქრისტინე ზაქრაძემ განუცხადა: “მაგალითად ყველა მონაწილეს, ნონა ჭანაკიასა და ანსამბლ “ორუდილას”, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს, ტატა გოგუაძეს, ელიკო ანკვაბს, ირმა ადამიას და ელენეოს, ანა აზნიანიძეს და ანსამბლ “იმედის” სოლისტებს ლეილა რუხაძეს, თათა ხუჭუას, თეგე ივანიაძეს. ასევე “იმედის” უმცროსი თაობის წარმომადგენელს, ამავდროულად “ფანტაზიის” მოცეკვავე ელენეო ანობაძეს. მშობლებს, მამაოებს მობრძანებისათვის. ყველა იმ ადამიანს, ვინაც თუნდაც ერთი ბილეთი შეიძინა და თავისი წვლილი შეიტანა ამ მართლაც საშველითვლო საქმეში. “თავის მხრივ, ტატა გოგუაძემ უდიდესი მაგალითი გადაუხადა ქრისტინე ზაქრაძე-

ეს და საღამოს ყველა მონაწილეს, ასევე კულტურის ცენტრის მხატვარ-დეკორატორს, ნანა რუხაძეს. “დღეს ამ შესანიშნავ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს დებიუტანტებმა, სულ ორი თვე ნახევრის დაწყებული აქვთ მათ პედაგოგთან მუშაობა და ხედავთ, რა კარგი შედეგი აჩვენეს. – გვითხრა ქალბატონმა ტატამ.
ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო ის, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოწვევით ამ ღონისძიებას ოფეთის პირველი საჯარო სკოლის (დირექტორი მზევინარ თარგამაძე) მოსწავლეები დაესწრნენ. მათთან ერთად იყო საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი გამოჩინებულის თემიდან, რაფენ ტორონვაძე.



ნდოს მთის მონასტერს, რასაკვირველია, დასთანხმდა. შობის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეებში, ღონისძიების თემად სწორედ შობა-ახალ წელთან დაკავშირებული სამობაო ღვეენდები იქცა. ქრისტინემ შვილის, ლუკა ზაქრაძის წიგნი “ჩემი სამობაო საუნჯე” ხელში აიღო და... ლეგენდის გმირებმა წიგნიდან

ევე იმდერეს ანსამბლ “ორუდილას” და “იმედის” წევრებმა.
ზანდოს მონასტრის აღდგენითი სამუშაოების პროცესში 2008 წელს ჩაერთო ნუგზარ ჯამბურია. ამ პროექტს კულტურის სამინისტრო (მინისტრი ნიკა ვაჩიშვილი) კულტურული მეგვიდრობის სააგენტოსთან და ფონდ “ქართუ-



კულტურის ცენტრის სცენაზე გადმოინაცვლეს. აქ იყვნენ: სანტა და პატარა გოგონა, ჯექ ფროსტი, რომელიც ყინუას და თოვლს წარმოქმნის, მანწაწა ბიჭუნა, რომელიც იესოს სახეა და რომელიც მხოლოდ ღარიბმა ოჯახმა შეიფარა; ასევე და-ძმა მარია და პაბლო, რომელთაც ტაძარში რწმენით შეიტანეს სარეველა და იგი ულაძეებს, ალისფერ, სამობაო პრინსესტიად გადაიქცა, რაც დღემდე შობის სიმბოლოდ არის ქცეული. ბაბია, პოლონელი ქალი, რომელიც მთელი ცხოვრება ახალშობილ იესოს ეძებდა. ასევე ელფები, რომლებიც თოვლის გუნდებით ერთობოდნენ. ქრისტინე საღამოს წამყვანი თავად იყო,

სთან” ერთად ახორციელებდა. ვისარგებლეთ შემთხვევით და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნუგზარ ჯამბურიას კომენტარი ვთხოვეთ: “უპირველეს ყოვლისა, მაგალითად მოგახსენებ ამ საქველმოქმედო საღამოს ინიციატორებს, ასეთი კეთილშობილური საქმის მხარდასაჭერად გამართული ღამეა კონცერტის გამო. მართლაც, 2008 წელს კულტურის მინისტრი ნიკა ვაჩიშვილის და მისი მოადგილე ნიკა ჩხაიძის მულობილი დამოუკიდებელი ჩვენი ელენეო-პალიტეტისადმი, გაჩნდა შანსი, გამოჩინებულის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის რესტავრაცია ჩატარებულიყო, რა თქმა უნდა, უდიდესი წვლილი უდევს

ქალი ბამარჯვებული – პირველად რუსთავის ბლიც ტურნირის ისტორიაში

14 თამაშიდან 12 მოგება, 1 ფრე და ერთიც წაგება – ამ შედეგებით აბსოლუტური ჩემპიონი გახდა მარი თევზაძე ბლიც ტურნირში, რომელიც ყოველ კვირა დღეს ტარდება ქალაქ რუსთავში.
ბლიც ტურნირი ჭადრაკში უკვე 65-ჯერ გაიმართა და მასში მიუხედავად ქალების მონაწილეობისა, ტრადიციულად მხოლოდ მამაკაცები იმარჯვებდნენ. მონაწილეთა შორის დილოსტატები ქალებიც იყვნენ, მაგრამ ქალს არასოდეს მოუგია.
მარი თევზაძემ ზემოხსენებული შედეგებით, ფაქტობრივად, 2 ტურით ადრე გაიხადა ჩემპიონობა. “სამტრედიის მაცნე” დაუკავშირდა მოჭადრაკეს და კომენტარი სთხოვა: “აღნიშნულ ბლიც ტურნირში სხვა დროსაც მიმიღია მონაწილეობა. ერთი-ორჯერ სამეულშიც გავსულვარ. ჩემი მეუღლე, თორნიკე სანიციე თითქმის სულ პირველ ადგილზე გადის. ამჯერად ჩემმა გამარჯვებამ უფრო იმიტომ გამახარა, რომ რეიტინგი 50 ქულით მოვიმატე. მიზოვეს კიდევ ჩავიდე რუსთავში და მივიღო მონაწილეობა მომდევნო ტურნირებში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ტურნირზე, სადაც აბსოლუტური ჩემპიონი გაგხდით, ლალი ბიბილაშვილი იყო მთავარი მსაჯე, სწორედ მან დამაჯილდოვა.”
“სამტრედიის მაცნეს” მეითხველისთვის კარგადაა ცნობილი, რომ მარი თევზაძე ცნობილი ქართველი მოჭადრაკის, სამტრედიელი სოფიო ტერეშაძის შვილია.
მარი თევზაძეს დიდი სამომავლო გეგმები აქვს: 3-დან 11 თებერვლის ჩათვლით იგი ირანში წასვლას აპირებს. 2-დან 10 მარტი კაპალა ოპენი ჩატარდება საფრანგეთში, 16-დან 29 მარტამდე ბათუმში გამართულ ევროპის ჩემპიონატში მამაკაცთა შორის უნდა მიიღოს მონაწილეობა. ხოლო ზაფხულში გაემგზავრება ან ესპანეთში ან საბერძნეთში – ესაა მარის სამომავლო გეგმები. მარი თევზაძე და მისი მეუღლე, თორნიკე სანიციე ინტენსიურად მეცადინეობენ. ამჯერად ტარდება საქართველოს ჩემპიონატი მამაკაცებში და მარი მეუღლეს გულშემატკივრობს. ჯერჯერობით ბლიც ტურნირის გამარჯვებული ამაზეა გადართული.

6067 6560383000

შორენა გვირგვინის საინცენდრო სემიარო

ნათია ნაცვლიძე

გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები კედელზე, ბუხრის თავზე, ნაძვის ხეზე... საოცარ ფანტაზიასთან შეჯერებული ნიჭი, ნებისყოფა და გემოვნება. მისი ნამუშევრების თემატიკა მრავალფეროვანია, ხატავს ზეთის საღებავებით. ამჯერად, მცირეხანაი ტაიმ-აუტი იმის გამო აიღო, რომ ორი წლის შვილი, მართა მუშაობას არ აცლის და მთელი ძალისხმევა გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებზე გადაიტანა. თქვენ შეხედული თამარ მეფე, ყარაჩხელეები, ხელით შექმნილი მოხუცების თოჯინები... ხალისა, გობელენი, თქვა, ბისერი, ნატურალური ქვები – ეს ყველაფერი იმისათვის, ულამაზესი პეიზაჟები რომ დაიხატოს... უხვად იყენებს განსხვავებულ მასალას. შეიძლება ერთი ლამაზი, ჭრელი ნაჭრის ნაკუწიც კი შემოქმედებითი ინსპირაციის საბაზად იქცეს. სამიოდ წელია, შორენა გვირგვინი სამტრედიელთა რძალია და ჩვენს მუნიციპალიტეტში ორ საშობაო გამოფენაში მონაწილეობის მიღება უკვე მოასწორო.



შორენას შინ ვეწვიეთ და მისი ნამუშევრებიც დავათვალიერეთ. ჩვენი რე-

სპონდენტი ახალციხიდან არის, საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ახალციხის ფილიალის გამოყენებითი ხელოვნების ბაკალავრიატი. პროფესიულ სასწავლებელში ჭრა-კერვის კურსები გაიარა, დაუფლდა ხალისისა და გობელენის ქსოვის ტექნიკას. შემდეგ მუშაობა დაიწყო ხელოვნების პედაგოგად, პარალელურად სკოლაში დააფუძნა წრე და ბავშვებს ქართული რეწვის ხელოვნებას – თექაზე მუშაობას ასწავლიდა. არაერთ პროექტში მიუღია მონაწილეობა. ასე მაგალითად, პროექტის “ქართული რეწვის განვითარება მესხეთში” ფარგლებში შექმნა ტილო შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის გამოსახულებით. ეს ნამუშევარი კარგა ხანს ახალციხის მუზეუმში იყო გამოფენილი. ამას გარდა, ყოველი წლის ბოლოს გამართულ გამოფენებში ლეზულა მონაწილეობას. ქუთაისში, ვარლას საგამოფენო დარბაზში მისი ორი ნამუშევარი გამოიფინა. “ყოველ ზაფხულს ჩემს ბებია-ბაბუსთან სოფელ ღრდელში ვატარებდი. სოფლის ულამაზესი პეიზაჟები დროდადრო ტილოზე გადმომაქვს, არ არის ისეთი დღე, რომ არ ვიმუშაო, როგორც საკვები სჭირდება ადამიანს, ისე მუდმივად მინდა ჩემი საყვარელი საქმის კეთება.” – ამბობს შორენა. მისი შეკრული თექის პიჯაკი მეუღლეს, გიორგი ძიძიგურს აცვია, რომელიც სამხედრო პირია და სწორედ ახალციხეში გაიწვიო. ყოველდღიურ ოჯახურ საქმეებს შორენა შესანიშნავად უთავსებს თავის პროფესიას. სამტრედიელმა ძალიან თბ-

ლაღად მიმიღესო, ოჯახი მაქსიმალურად მიწვობს ხელს, საყვარელი საქმის კეთებაში, გვითხრა, თბილი სიტყვები არც დედამთილის, გულნარა ახობაძის მიმართ დაიშურა, რომელიც მე-11 სკოლის ფიზიკის პედაგოგია.

შორენას ხელნაკეთი აქსესუარები და ნივთები, რომლებიც საახალწლო თემატიკას ეხებოდა, უკვე გაიყიდა ერთ-ერთ



მაღაზიაში. ახალგაზრდა ქალბატონი არცთუ დიდი ხანია თანამშრომლობს ამ მაღაზიასთან, აქვს შეკვეთებიც და დაულალავად მუშაობს, რომ ბევრ სამტრედიელს გაულამაზოს ყოველდღიურადა. ნამუშევრების ძირითადი ნაწილი ახალციხეში აქვს, რადგან იქ გამართულ გამოფენებზე სწორედ მათი წარდგენა უწყვე-

ლაღად მიმიღესო, ოჯახი მაქსიმალურად მიწვობს ხელს, საყვარელი საქმის კეთებაში, გვითხრა, თბილი სიტყვები არც დედამთილის, გულნარა ახობაძის მიმართ დაიშურა, რომელიც მე-11 სკოლის ფიზიკის პედაგოგია.

შორენას ხელნაკეთი აქსესუარები და ნივთები, რომლებიც საახალწლო თემატიკას ეხებოდა, უკვე გაიყიდა ერთ-ერთ

ჩემი უნივერსიტეტი

შვილის ქახბი სიყვარული ახლოვანი მშობლის მიმართ

რობრიკას “ჩემი უნივერსიტეტი”, სამტრედიის მე-10 საჯარო სკოლის პედაგოგი, ქალბატონი თეონა ფრანგიშვილი სტუმრობს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღემდე ჩემი უთბლესი დამოკიდებულებების და სიყვარულის ობიექტია. ჩემს შრომებს – ლუკა ივანეს ძე ფრანგიშვილს და მარგო ვლადიმერის ასულ ქანთარას უნივერსიტეტი ჰქონდათ დამთავრებული. მამას – ეკონომიური ფაკულტეტი, დედა კი ფილოლოგი გახლდათ.

დედას და მამას ისე უყვარდათ და ეამაყებოდით უნივერსიტეტი, მეც უყოფანოდ ავირჩიე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, არც შევეცდარე. ჩემთვის დღემდე საამაყო და სანუკვარია უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის ტიტული.

1968 წელს ჩაირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, შეიძლება ითქვას, თავიდანვე გამომართლა... ჩემი ჯგუფელები იყვნენ მწერლები: თამაზ ბიბილაური, ლაშა თაბუკაშვილი, მ. აბრამიშვილი, დ. ხარბული და სხვა. არასოდეს დამავიწყდება ჩვენი ლაშა, ულამაზესი, რაინდული და კეთილშობილი თვისებების მქონე ჭაბუკი, დაუდგრომელი, პოეტური, მაძიებელი. ხშირად დავკავდით ჯგუფელები შინ – ფიქრის გორაზე, ბრწყინვალე მშობლებთან, მსახიობის მედია ჯავახიშვილისა და რეჟისორის, მთარგმნელის, საზოგადო მოღვაწის რევაზ თაბუკაშვილის სახლში. არ დამავიწყდება ქალბატონი მედეას უგულთბილესი მასპინძლობა და თეატრალური აქსესუარებით მორთული საკუთრივ ბინა. ბატონი რევაზის დარბაზი საუბარი ხელოვნებასა და პოეზიაზე, საზოგადოებრივ აქტუალურ თემებზე. ლაშა ჯგუფის ნამდვილი საჩუქარი იყო. მასსოვს, სამშაბათობით უნივერსიტეტის ადგილობრივი გამომცემლობის, “პირველი სხივის”, პრინციპალის იმართებოდა, სადაც დამწვევები პოეტებისა და პროზაიკოსების ნამდვილი პაექრობა იმართებოდა. იქ ისეთი კოცონი ვიხილავდა, რომელიც გულგრილს არავის გეტკვებოდა. ყვე-

ლაფრის ამ ინიციატორი და სულისჩამდგმელი კი ჩვენი დაუდგრომელი, გიჟაჟი ლაშა იყო. ლექციებს გაგვაცდენინებდა და იქ მიგვყრიდა. ჩვენი ბოლო აკორდი კი იყო რუსთაველის გამზირზე გასეირნება. პოეზიის ცეცხლით ანთებულები გზაში ხმამაღლა ვკითხულობდით ლექსებს, ნაწევრებს, სცენებს საყვარელი ნაწარმოებებიდან, რითაც მოსეირნე წევრების კეთილგანწყობილ დიმიტრ ვიწვევდით. მე დღეს ვუხდი ლაშას მადლობას იმ ულამაზესი დღეებისათვის, რომელიც არანაკლებ ღირებულ იყო, ვიდრე ზოგი ლექცია და დღემდე აფერადებს ჩემი ცხოვრების ნაცრისფერ დღეებს.

უნივერსიტეტი და განათლებული ლაშა გამოცდებს ბრწყინვალედ აბარებდა, მაგრამ ლექციებს ხშირად აცდენდა და რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ყოფილიყო, ასეთი პიროვნება უნივერსიტეტიდან გარიცხვს გაცდენების გამო. ლაშა დროს უსწრებდა. ალბათ ზოგიერთი პროფესორ-მასწავლებლის დიდი ვერ აკმაყოფილებდა. ცნობილი ოჯახის შვილს უნივერსიტეტი დაატოვებინეს. მაშინ არ მესმოდა და ვერც ვიკვებდი მხეწს, დღეს კი ჩემთვის ნათელია, რომ უნივერსიტეტი და მისი რექტორი, აკადემიკოსი ილია ვეკუა უმთავრეს ვერდიქტს ემორჩილებოდა – ხეობრივი სახე უნივერსიტეტის პირველი მოთხოვნა იყო, მისი იმიჯისა და პრესტიჟის საქმე.

უნივერსიტეტის ეზოში ფეხის შედგმისთანავე განსაკუთრებული, ამაღლებული განწყობა გეუკულებოდა. ამ ეზოში განისვენებენ და სტუდენტის ყოველ გადადგმულ ნაბიჯს თითქოს უდარაჯებენ ბუმბერაზი ქართული მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, უნივერსიტეტის მესაძიერელები, აკადემიკოსები: ნიკო კეცხოველი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, ივ. ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი და ბევრი სხვა. მათი სპეტაკი სული გაიძულებს იყო ღრმა პატრიოტი, პატიოსანი, კარგი მოქალაქე, მაშულიშვილი.

მქონდა ბედნიერება, ჩემთვის ისეთი კორიფეებს ესწავლებინა, როგორებიც იყვნენ: აკადემიკოსები: აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, პროფესორები, ქალბატონები: მარიკა ლორთქიფანიძე, მზექალა შანიძე, ვიოლეტა ცისკარიძე, რუს-

უდან გამხარაშვილი, სერგი ჭილაია, რომელიც მეტრეველი, ზურაბ ჭარხალაშვილი, ბატონები: რევაზ მიშველაძე, ოთარ ბაქანიძე, დავით გეწაძე, შოთა რევიშვილი, რისმარგ გორდენიანი, გომართელი, ბარამიძე და სხვები.

დღემდე მასსოვს ესთეტიკის ლექტორი ბატონი ჟორჯოლიანი. იგი ნამდვილი ესთეტი იყო ფაქტობრივად გადამწყვეტი თმით და ზომიერად გახამებული ცხვირ-სახოცი.

ასევე ვერ დავივიწყებ ბატონი შოთა რევიშვილის ლექციებს (სამტრედიელის). იგი დასავლეთი ევროპის ლიტერატურის ისტორიას ისეთი ოსტატობით გვავითხავდა, მისი ლექციები იმდენად შთაბეჭდილებს იყო, რომ აუდიტორია ვერ იტყვდა სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს და დოცენტ-ასპირანტებს. ბატონი შოთას საოცარი ქარიზმა ჰქონდა. მე კი დღემდე მენატრება მისეული წაკითხული გოეთეს “ფაუსტი” უკვდავი სტრიქონებით “Verweile doch! du bist so schon!” (“შენიერდი წამო, შენ ისეთი მშვენიერი ხარ”).

რამ დამავიწყოს თანამედროვეობის უდიდესი მთარგმნელი ბატონი ბაჩანა ბრეგვაძე. აუდიტორიიდან არ ვუშვებდით, მსოფლიო ლიტერატურიდან ნიმუშებს რამდენიმე ენაზე ვავითხებდით და უდიდეს ესთეტიურ სიამოვნებას ვიძლეოდა. ასევე დაუვიწყარია ჩემთვის ბატონი რისმარგ გორდენიანი. იგი მაშინ დოცენტი იყო, დღეს კი აკადემიკოსია.

დღი პატივცემილი ვიგონებ ძველი ქართული ლიტერატურის ლექტორს, პროფესორ ლევან მენაბდეს, ცივ ხამთარშიც კი რომ ქუჩაში ქუდს მოვიხდიდა და მასტერ კლასს გვიჩვენებდა ყოფით კულტურასა და აღზრდაში.

და მაინც ნუ მიწყენთ, რომ ყველას აგან გამოგონებია ჩემთვის ღრმად პატივსაცემი დიდი მეცნიერი, ლინგვისტი, საზოგადო მოღვაწე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი. მე მის შვილიშვილთან, იგივე გიორგი ახვლედიანთან ვემეგობროდი. გიორგი უძცროსმა რამდენჯერმე სახლში დამპატივა. გამაოცა დიდი მეცნიერის და დიდი ადამიანის გვაროვნულმა კეთილშობილებამ და უბრალოებამ. ბატონი გიორგის ბიბლიური გარეგნობა, დახვეწილი ინტელიგენტობა და ავტორიტეტი ყველას ფეხზე წა-



მოაყენებდა ხოლმე, მას მთელი უნივერსიტეტი თავყვანს სცემდა. ბატონი გიორგისთან ურთიერთობა მთელი აკადემია იყო, რომელიც სულიერებით გავსებდა. ცნობილია მისი, უშუალო, მამა-შვილური დამოკიდებულება სტუდენტებისადმი. მქონდა ბედნიერება, ერთ-ერთი მათგანი მეც ვყოფილიყავი, რითაც დღესაც ვამაყობ.

ჩემ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ყოფილა კურიოზებიც. გავიხსენებ ერთ-ერთ მათგანს ქალბატონ ლელა ბარამიძისთან დაკავშირებით. ქალბატონი ლელა საკმაოდ მკაცრი ქალი იყო. იგი ჩემს მეგობარ გოგონას ასომთავრულით ნაწერს სულ უწევდა. შემეცოდა მეგობარი, დავალება მარცხენა ხელით დავუწერე. რა თქმა უნდა, სხვადასხვა რიგში დავსხედით. ქალბატონმა ლელამ სხვის ხელი შენიშნა და ჩემს მეგობარს დამწერის ვინაობა ჰკითხა. გოგონამ არ გამცა. ტანში გამცრა, მაგრამ შევბით ამოვიხსუნეთ. როცა ჩემი ნაწერი შეამოწმა, რატომ დაუწერე სხვასო, – მკითხა. შემეცოდა-მეთქი ძლივს ამოვიხსენებ. მენი გაგარდებოდა მეგონა, მაგრამ ქალბატონმა ლელამ ბევრი იყისისა და მკითხა: შენ ყველას ყველაფერს უსრულებ მეგობრის სახელით? – მთლად ყველაფერს არა-მეთქი. – გათამამებულმა შევბედე. მეგობრობაც ასეთი უნდა! – ნახევრად ირონიულად ბრძანა და ცრემლები მოიწმინდა. უბედნიერესი ვიყავი. წლების შემდეგ ჩვენი რაიონის მკე-

დრი აკადემიკოს აკაკი შანიძის 100 წლის იუბილზე სამტრედიის კულტურის სახლში ქალბატონმა ლელამ მიცნო და ეს ამბავიც გაიხსენა. ბევრი ვიხსენისყო. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი ნახიჯ-ნახიჯ მივებოდა ცხოვრების რიტმს. სააქტო დარბაზში ცხოვრება დულდა. მასსოვს მოვიწვიეთ მწერალი-აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია. მისი ექვსტომეული განვიხილეთ, სადაც ბატონი ირ. აბაშიძეს თავაზიანი გრძელი იმერელი უწოდა, გალ. ტაბიძე კი ქებითა და დიდებით აავსო. აქ ხშირად იდგებოდა სპექტაკლები უნივერსიტეტის ძალებით. გუცკოვის “ურიელ აოსტაში” ჩემი კურსელი თამაშობდა ივლითს, ურიელს კი – მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. ჩამოვრჩებოდით ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლით. ჩვენი ხელმძღვანელი იყო ახალგაზრდა მოძღვრალი ნიკო ჯაღდეგიშვილი. პუშკინის სახელობის მამინდელ ინსტიტუტს კი – გენიალური კომპოზიტორი რევაზ ლალიძე ხელმძღვანელობდა, რომელიც გვჩაგრავდა, სამაგიეროდ ჩვენი ქორეოგრაფიული ანსამბლი უძლიერესი იყო. გოგონები ფერებივით დაგოგამანებდნენ სცენაზე.

მოსალონარი ძალზე ბევრია, მაგრამ, ვფიქრობ, ამ ეტაპზე ზომამე მეტოც ვთქვი.

“ვისაც ლიტერატურა უყვარს

ერთიანი ლიტერატურული ვემოცნება – მეგობრობის საძირკველი

ნათია ნაცვლიძე

ზაზა ჩახუნავაძის მიერ შექმნილი ლიტერატურული ვემოცნების მიზანმიმართული კომპიუტერული პროექტი

– ზაზა თქვენ ასწავლით ინგლისურ ენას და ლიტერატურას, ჩვენი ინტერვიუ საჭირობითი თემით დაიწყო – კაცი მასწავლებლის არყოფნა სადაცაა აკლებს თუ არა სკოლას რაიმეს?

– თავიდანვე აღნიშნავ, რომ საქართველოს სკოლებში უცხოური ლიტერატურა (ევროპული ან ამერიკული) არ ისწავლება. ჩემს სასწავლო საგანს ჰქვია ინგლისური ენა. ენის სწავლება ლიტერატურის გარეშე ცოტა არ იყო, წარმოუდგენელია. სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ქართული ბავშვების 99 პროცენტი ისე ამთავრებს სკოლას, რომ თითქმის არ იცნობს ინგლისურენოვან მწერლებს, (არა აქვს მნიშვნელობა, ბრიტანელი იქნება ეს მწერალი თუ ამერიკელი). ინგლისურენოვანი მწერლების ადაპტირებული ნაწარმოებებიც კი არა გვაქვს თანამედროვე სახელმძღვანელოებში. ეს რა თქმა უნდა, პრობლემას წარმოადგენს ზოგადი განათლების თვალსაზრისით, თუმცა, უცხო ენის სწავლებისას ამოსავალი მიზანი მაინც არის ელემენტარული კომუნიკაციის დამყარება უცხოელებთან, რაც პრინციპში მიღწევადია მოსწავლეებისათვის. მათთვის საკვლევადი არაა უცხოენოვანი ლიტერატურის ზედმიწევნით ცოდნა. რაც შეეხება მთავარ შეკითხვას – კაცი მასწავლებლის არყოფნა აკლებს თუ არა სკოლას რაიმეს? არც აკლებს და არც უმატებს სკოლას არაფერს. ამ პრობლემას, თუ ამას პრობლემას ვუწოდებთ საერთოდ, სხვაგვარად შევხედავდი. მართალია, მამაკაცი მასწავლებლების წილი საქართველოს სკოლებში ბევრად მცირეა სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც მამაკაცი მასწავლებლების რაოდენობაში არ უნდა ვეძებოთ. არა მგონია, გენდერულმა დაბალანსებამ ის პრობლემები, რაც ამჟამად განათლების სისტემაში არსებობს, მენტალურად გადაწყვიტოს. პრობლემა ბევრად უფრო სისტემური და ღრმაა. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ ასწავლის, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რას და როგორ ვასწავლით.

ჩვენ ქრისტიანული ქვეყანა ვართ, საქართველო ლათინურულ სფეროშია, საჭიროებდა ინგლისურ ენის სწავლას, თუ როდენ დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ეს ყოველივე. განათლება – ეს არ არის დიდი რაოდენობით ინფორმაციის თავში ჩაყრა და იქ დაგროვება. ეს ძალიან საშიშია არა უბრალოდ იმ ადამიანისთვის, ვინც უზარმაზარ ინფორმაციას ფლობს, არამედ, მის ირგვლივ მყოფთათ-

ვისაც. იმის თქმა მინდა, რომ თუ განათლებას კავშირი არა აქვს რწმენასთან, მართალ სარწმუნოებასთან, მაშინ მას ვერც ვუწოდებთ განათლებას. ანუ, თანამედროვე განათლების სისტემაში მინებები და პრიორიტეტები სწორად უნდა დასახოს და ეს მინებები უნდა იყოს ღმერთი, სამშობლო და ადამიანი. თუ ეს არ მოხდა, მაშინ ცოდნის მიღება უბრალოდ ხრწნადი კაპიტალის დაგროვების საშუალებად იქცევა და სხვა არაფერი და ერთი თამაშისა არ იყო, ცოდნა ფული გახდება, რაც ფაქტობრივად, სახეზე გვაქვს კიდევაც. არ ვთვლი, რომ მამაკაცების ნაკლებობა განათლებაში პრობლემას ქმნიდა, თუმცა სასურველია სახელმწიფოს მხრიდან წამახალისებელი ნაბიჯები გადაიდგას, მოტივაცია გაიზარდოს ახალგაზრდობაში, რომ მეტი ახალგაზრდა მამაკაცი მოიზიდოს სისტემაში. ეს პირდაპირ კავშირშია ფინანსებთან, რადგან ცარიელი ერთუნიანი ხარჯზე ოჯახს ვერ არჩენ. თუმცა სამწუხაროდ, ამ მიმართულებით პროგრესს ვერ ვამჩნევ.

– ახალგაზრდა ინტელექტუალთა გუნდის წევრი ხართ, რაც თავისთავად გულისხმობს წიგნიერებას, რას ნიშნავს წიგნი თქვენთვის?

– დიახ, გახლდით ახალგაზრდა ინტელექტუალთა გუნდის წევრი, მაგრამ დროსთან ერთად ეს ტიტული ჩამოძვრება (იცინის). ორმოც წელს რომ გადაცდები, მთლად ახალგაზრდად ვერ ჩაითვლება. სიმართლე გითხრათ, სხვასთან ცოდნაში შეჯიბრება და ამა თუ იმ ინტელექტუალური ტიტულის დაგროვება არასოდეს ყოფილა ჩემთვის თვითმიზანი. ადამიანში წიგნიერებას ძალიან ვაფასებ, მაგრამ, იმასაც ვიტყვი, არ ღირს ლიტერატურაში უთავოდ დგომა. ვარდნა, რადგან ეს ძალიან საშიშია. ზომიერების დაცვა ყველაფერში აუცილებელია. წიგნის მნიშვნელობაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს, ყველა სერიოზული და მნიშვნელოვანი წიგნის საფუძველი ჩემთვის მაინც წიგნია წიგნი ბიბლიაა, რომელშიც ყველანაირი ცხოვრებისეული შეკითხვებზე შეგვიძლია ვიპოვოთ პასუხი.

– დამატებითი საკითხი გრაფიკი გიტოვებთ თუ არა მხატვრული ლიტერატურის წასაკითხად დროს?

– თანამედროვე ქართველი მასწავლებლის სამუშაო გრაფიკი ყველაზე არანორმალურია სხვა პროფესიებთან შედარებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუკი რაიმე სერიოზულად დამაინტერესებს, აუცილებლად გამოვძებნი დროს მის წასაკითხად.

– რა ფანრს ანიჭებთ უპირატესობას?

– ძირითადად, უპირატესობას ქრისტიანულ, სასულიერო ლიტერატურას ვანიჭებ. დღესაც ვკითხულობ და ვერ კიდევ ვერ დავასრულე საკმაოდ მსხვილტანიანი ნაშრომი, ინგლისური ენიდან ნათარგმნი მეოცე საუკუნის მიწურულის დიდი სასულიერო პირის, მღვდელმონაზონ სერაფიმე როუზის ცხოვრება და შრომები. ამ პიროვნების დეაქტილი აშშ-ში, თანამედროვე ამერიკელ ახალგაზრდობაში მართლმადიდებლური ცნობებების გავრცელებაში ვერ კიდევ შეუფასებელია. მიუხედავად მისი ხანმოკლე ცხოვრებისა, მან ძალიან ბევრი რამის გაკეთება მოასწრო. მისი რამდენიმე ნაშრომი ქართულადც არის ნათარგმნი, თუმცა, ეს მცირე ნაწილია მისი ნაშრომებისა. ასევე ვკითხულობ ვესები კესარიელის “საე-

კლესიო ისტორიას”, ერთ-ერთი უძველესი ნაშრომი როგორც წიგნის სახელწოდებებიდანვე ჩანს, ქრისტიანული ეკლესიის პირველი საუკუნეების ცხოვრების შესახებ. თანამედროვე ქართულ და საზღვარგარეთულ ლიტერატურაში ბევრი საინტერესო და ღირებული ნაწარმოები იქმნება, მაგრამ, სამწუხაროდ, დროის უქონლობის გამო ამ წიგნების მხოლოდ რამდენიმე გვერდის გადაფურცვლას ვახერხებ. (ღიმილი).

– თანამედროვე ბავშვისათვის წიგნი უფრო პრიორიტეტული კომპიუტერია. თქვენი აზრით, როგორ დაავიწყდა ბალანსი წიგნსა და კომპიუტერს შორის?

– უმრავლესობის შემთხვევაში ნამდვილად ასეა. წიგნს მხოლოდ გვეთილზე თუ გადავლიან და მაშინაც თვალი და ყური კომპიუტერისაკენ გაუბრუნდება. თუმცა, აკრძალა საქმეს ვერ უშველის. ჩვენი მიზანია, თანამედროვე ჰკვიანნი მოწყობილობები განათლების სამსახურში ჩაუყენოთ, მიუხედავად იმისა, რომ მათი თავდაპირველი დანიშნულება მხოლოდ კომუნიკაციას გულისხმობდა. კარგა ხანია შექმნილია სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები, ე. წ. აპლიკაციები ჰკვიანნი ტელეფონებისათვის, რომლებიც შეიძლება ნებისმიერი სასწავლო საგნის სასწავლებლად გამოვიყენოთ. ეს შეიძლება განსაკუთრებით სასარგებლო უცხო ენის სწავლებისათვის გამოდგეს. თუმცა, რა თქმა უნდა, აქაც საჭიროა ბალანსის დაცვა.

– ვინ არიან თქვენი საყვარელი მწერლები? პოეტები?

– მრავლად გვაქვს გამოჩენილი პოეტები და პროზაიკოსები, განსაკუთრებით მომწონს ე.წ. პირში მიქმედი ლიტერატორები, რომლებიც ერთი ხნობრივ გაჯანსაღებაზე, მამულის სიყვარულზე და მისთვის თავდადებაზე წერენ. თუმცა, რომელი ერთი არაა ასეთი, იყოს, ალბათ არც ერთი. სამშობლოს სიყვარული ერთ-ერთი უპირველესი თემაა თითქმის ყველა ქართველი მწერლის შემოქმედებაში, პოეტებიდან განსაკუთრებით ახლობელია მუხრან მაჭავარიანი, ლადო ასათიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გალაკტიონსა და ტიციანუჯი, ვაჟასა და აკაკიმ არაფერს ვიტყვი. ქართველი პროზაიკოსებიდან განსაკუთრებით გამოვარჩევი გრიგოლ რობაქიძეს, მიხეილ ჯავახიშვილს, ნიკო ლორთქიფანიძეს, ნოდარ დუმბაძეს, კონსტანტინე გამსახურდიას. უცხოელი მწერლებიდან – ვიქტორ ჰიუგო, ალექსანდრე დიუმა, ჩარლზ დიკენსი, ჯორჯ ორველი, ლევ ტოლსტოი, ფრანც კაფკა, ჯეიმს ჯოისი, თეოდორ დოსტოევსკი, რადიარდ კიპლინგი, ერნესტ ჰემინგუეი, გაბრიელ გარსია მარკესი მომწონს.

– გვითხარით თქვენთვის საყვარელი ფრაზა, ციტატა რომელიმე კლასიკოსის ნაწარმოებიდან.

– ვიქტორ ჰიუგოს ფრაზა: “მუსია გადმოსცემს იმას, რისი გამოხატვაც შეუძლებელია სიტყვებით და რომელზე დუმილიც შეუძლებელია”. ვუძღპუსი კი ამბობს: “არ არის უფრო საიმედო საძირკველი ლამაზი მეგობრობისათვის, ვიდრე ერთნაირი ლიტერატურული კვლევება.” იტალი კალვინო ლიტერატურის მნიშვნელობის შესახებ ამბობს: “კლასიკა არის წიგნი, რომელიც არასდროს ამთავრებს იმის თქმას, რაც მას უნდა ეთქვა” (ანუ აქვს ნებისმიერ დროში ერთნაირი ღირებულება). სტენდალი მის უკვდავ ნაწარმოებში ერთ-ერთი



გმირის პირით გვეუბნება: “კარგი წიგნი ნამდვილი მოვლენაა ჩემს ცხოვრებაში”. ეზრა პაუნდი თავის “კითხვის ანბანში” გვეუბნება: “ლიტერატურა არის ახალი ამბავი, რომელიც მუდამ ახალ ამბად რჩება”.

– დიდი ბიბლიოთეკა გაქვთ?

– ისევე, როგორც ლიტერატურის ყველა თანამედროვე მოყვარულს, მეც მაქვს 2 დიდი ბიბლიოთეკა, სადაც მილიონობით წიგნი მაქვს შენახული. ერთი – ჩემი თავი (წყაითხული წიგნებისათვის) და მეორე – ინტერნეტი (ჯერაც წაუკითხავისათვის). უფრო სერიოზულად თუ გიპასუხებთ, მაქვს რამდენიმე ასეული წიგნი, რომელიც ჩემთვის ძალიან დიდაა, მაგრამ სხვებისათვის ის ძალიან პატარა შეიძლება აღმოჩნდეს. მოსწავლეობის დროს მქონდა ჰობი კარგი წიგნების დაგროვებისა, მაგრამ რადგან დიდ ფინანსებთან იყო დაკავშირებული, ამ ოცნებას ვიშვეშებ.

– თანამედროვე ლიტერატურულ ტენდენციებს ადევნებთ თვალს? კითხულობთ თქვენი და თქვენზე ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებას? რომელ მათგანს გამოაჩნევდით?

– ბევრი ითქვა და დაიწერა რომანზე, როგორც ერთ-ერთ გამოჩენილ ლიტერატურულ ფანზე. საქართველოში პოსტმოდერნისტული ტენდენციები პირველად რომანში გამოჩნდა. თანამედროვე კატეგორიებიდან კი განსაკუთრებით იკვთება ისტორიული რომანი, თანამედროვე ლიტერატურა წარსულით საზრდობს, თუმცა, მართლ წარსული არ არის ამ ფაქტის განმსაზღვრელი, მას განსაზღვრავს დრო, ის მიმდინარე პროცესების აქტიური შემფასებელიცაა. რომანის ფანის იცვლება. ადრე თუ კლასიკური რომანი იქცევადა ყურადღებას, შემდეგ ისტორიული რომანები წამოვიდა წინა პლანზე, თანამედროვე ეპოქაში ვითარება შეცვლილია. პოსტმოდერნისტულმა გარემომ რომანის ფანული სპეციფიკის ცვლილება გამოიწვია. დამკვიდრდა ტერმინი ანტირომანი. რომანი სხვა ფორმით და სათქმელით ჩამოყალიბდა.

ქართულ მწერლობაში ასეთი ზაზა ბურჭულაძის შემოქმედებაა. ფორმის თვალსაზრისით სრულიად განსხვავებულია მილორად პავიჩის “ზაზართა ლექსიკონი”, რომელიც დაყოფილია მდებარე და მამრულ ნაწილებად, რაც რომანის წაითხვისას პრობლემას არ ქმნის, სრულებით არ აქვს მნიშვნელობა, მის რომელ ნაწილს წაიკითხავ, სათქმელი განსხვავებულია, მაგრამ პერსონაჟები მაინც მოგზაურობენ წიგნის ერთი ნაწილიდან მეორეში. მსგავსი ნარატოლოგიური ფორმატი შემოგვთავაზა აკა მორჩილაძემაც, რომელმაც ერთ წიგნად გამოსცა რომანი “ტავერნა 10 სექტემბერი”, “ქალაქის მელიები” და სანტა-ესპერანსას ციკლის პროზა. “ზაზართა ლექსიკონის” მსგავსად, საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა, ამ ტექსტებს წიგნის რომელი ნაწილიდან წაიკითხავ, სათქმელი და შინაარსი სხვადასხვაა, თუმცა აქაც შეიძლება სათქმელის გადმოცემის თვალსაზრისით რაღაც საერთოს ნახვა.

– გიჩქვნიათ წიგნი თქვენი უახლოესი მეგობრისათვის ან თავად მიგიღიათ საჩუქრად წიგნები?

– ყველაზე ძვირფასი საჩუქარი ჩემთვის ნამდვილად წიგნია, ბოლო წლის განმავლობაში პატარა ტრადიცია ჩამოვაყალიბე – სერგეტ სანტაზე ჩემს კოლეგებს წიგნები ვაჩუქებ. სამწუხაროდ, მე არ მჭუქნიან ამ ბოლო დროს წიგნებს. ხან ვაჩუქებ მჭუქნიან, ხანაც წვერსაპარს ქაფებს, არადა იციან არც წვერის გაპარსვა მიყვარს და არც ღვინის უზომო სმა. (იცინის).

– როგორც უცხო ენის პედაგოგი, თანამედროვე მთარგმნელებს იცნობთ?

– ცნობილ მთარგმნელებს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მყავს მეგობრები, რომლებიც თარგმნიან თანამედროვე პროზას და პოეზიას, პატარა ჯაფარიძე – ირანოლოგი, დავით ფარჯანიძე – გერმანიისტი, ირაკლი ცხედიანი – ანგლიცისტი, ისინი ამჟამად ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობენ.

ძველი წერილის ხელნაწილი დახვდა

ალბათ, დამეთანხმებით, თუ თქვენ ძველი სვირტიდან ამოღებულ დანოტივებულ წერილებს წასწავლობთ, თუ "რა ლამაზი და ღრმა, სუფთა და უსაზღვროა აქ ჩაქსოვილი გრძობანი; რამდენი უაზრო სიყვარული მარხია ამ ძველ ნაწერებში"...

სწორედ დღეს სამხრეთ ამერიკის კონტინენტთან გამოგზავნილი ძველი წე-

ლი უსაზღვრო სიყვარული და შორიან-ლო, ზემოთ აინდან ვიტარისა და ნანის ხმა. ირგვლივ სიჩუმე. დმერთმა იცის რას იფიქრებ?!

... თურმე ნანი, აღუქსანდრე მიქელ-ადის (კულამიდან) შვილისშვილია. კინაღამ შევიშალე, როდესაც გამოირკვა შემთხვევით, მშვენიერი ქალია, რა სამწუხაროა, როდესაც მე იქ ვიყავი ჯერ

ის სიღრმე, რომელიც ავტორმა ქალისა და კალმის მეოხებით, ათასწლეული კილომეტრის მანძილიდან საქართველოს მოაწვდინა.

ტყუილად როდის ამბობენ, რომ "სიყვარულს ათასობით ასპექტი აქვს და ყოველ მათგანს თავისი სინათლე, თავისი წუხილი, თავისი ბედნიერება, თავისი კეთილმოხურეობა ახლავს".

ამ პატარა წერილში, რომელიც ასე გულწრფელად და სადადა დაწერილი ბევრი რამაა საგულისხმო, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ რობერტ სტურუა და მისი და დედანა მათი ოჯახის სასურველი სტუმრები ყოფილან.

"დედანა არის უსაყვარლესი ადამიანი, ხშირად იყო ჩვენთან. რობერტს საყვარელია. ბევრი საერთო კარგი ნაცნობები აღმოვაჩინეთ კულამიდან".

ცნობილია, რომ ბუენოს-აირესის ალვარის თეატრში რეჟისორმა რობერტ სტურუამ დადგა ბრუნტის სპექტაკლი "სიმონა მარმალის სიმბრები".

ემიგრანტი პოეტის, მხატვრის, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის, პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორის ლეო ჭვიშვილის წერილში ის უაზრო სიყვარულია ჩაქსოვილი, რომლის ესთეტიური საიამე მას ნანი ბრეგვაძის ჯადოსნურმა სიმღერებმა მიანიჭა და ჩვენშიც, ახლახან ქუთაისის ლალო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე გამართულმა ნანი ბრეგვაძის საიუბილეო კონცერტმა ეს წერილიც იმავე განცდით, იმავე გრძობით გააცოცხლა და შეგვახსენა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას ეპისტოლეები იმდენად პირადული, ინტიმური საქაროა, რომ მი-



სი სამხრეთ გამოტანა, შესაძლოა, მართებულად არც მიიხედოს. მაგრამ პირადი წერილები აქრობს წლებს, ჩვენ თვალწინ წარმოადგენს ავტორის ბუნებრივ, შეუფერავ სახეს, რადგან მასში ფიქსირებულია წამიერი განწყობილება და ამასთან ეს წერილები გვაცნობს ეპოქას, აზუსტებს პიროვნების ცხოვრ-



როლის დუმილი, მაგრამ "მეტყველი დუმილი" გვინდა ავახსიანოთ:

"რა ტკბილი ხმა აქვს ნანის! რადაც ვადოსნურია, მაგრამ ეს უნდა მოისმინო სულ სხვა პირობებში: მთვარის შუქზე მარტოა მჯდომმა, ნელი ნიავი, ოდნავ შრიალი ვერხვის ფოთლებისა პაპიროსით ხელში, ფეხი ფეხზე გადადებული, თვალეები სადაც შორს მიჩერებუ-

კიდევ არ იყო ამქვეყნად. ამ წელს ბევრი ქართველობა ჩამოვიდა ბუენოს-აირესში, რაც გაუგონარია და უჩვეულო", - მომღერალ ნანი ბრეგვაძის ხმით დატყვევებული ლეო ჭვიშვილი აღფრთოვანებით წერდა თბილისში თავის ახლობლებს (ლომას-დე-სამორა 26. 12. 1979).

მართლაც, განუზომელია გრძობათა

ბისა და შემოქმედების უცნობ დეტალებს.

ასეა თუ ისე, ეპისტოლარული სფერო მაინც ემიგრანტული მეგვიდრობის უნიკალური დოკუმენტებია და მასთან მეტად ფასეული ფენომენიც.

მანია გავრთვილი
ფილოლოგიის დოქტორი

“ჭადრის ოქროსფერი ფოთოლი”

ასე ჰქვია ლიტერატურულ კონკურსს, რომელიც უკვე ტრადიციულად იმართება ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ინიციატივითა და ორგანიზებით.

ორმოცამდე მონაწილე, უამრავი ლექსი... გასული წლის დეკემბერში კვლავ გაიმართა “ჭადრის ოქროსფერი ფოთლის” მორიგი კონკურსი, რომელსაც ნამდვილად არ ჩაუვლია უინტერესოდ.

მონაწილეთა შორის გახლდათ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი, უკვე შემდგარი პოეტი, სამტრედიელი ბექა ფოცხვერია, რომელსაც კარგად იცნობს “სამტრედიის მაცნეს” მკითხველი.

კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით, რომელშიც ნომარდი ბართაია, ვია ზოფერია, ნანა გასვიანი და სხვა ცნობილი სახეები შედიოდნენ, მესამე ადგილი ბექა ფოცხვერიას ერგო წილად, შესაბამის ფასიან საჩუქრებთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ კონკურსში სხვადასხვა ასაკის ადამიანები იღებდნენ მონაწილეობას.

კიდევ ერთ წარმატებას ვულოცავთ ბექას და მკითხველს იმ ლექსს ვთავაზობთ, რომლითაც ის წარსდგა ჟიურის წინაშე.

ლანა გავრთვი

ბოლო წერილი

ჩემო იველინ, ბოლოჯერ გწერ, გწერ, რომ ვიამბო ჩვენი სოფლის და მოგვიყვები ჩემზეც მცირედით. ჩამოსვლის დარად პასუხიც არ დამიგვიანო, მე ამ წერილის და პასუხის ვცოცხლობ იმედით. ჩვენსას ყველა დღე შემოდგომის იწყება ასე, მამა მინდვრებზე საბადაზოდ მიდენის ნახირს, ეს მანამ, სანამ მზე სხივებით ჩემს ოთახს ავსებს და სანამ კარგად გავიფრენებ დიდუღას ძახილს. რომ თავი უნდა დაეღწია სიხმრების მამუალს. ბებიაჩემი მხნე ქალი და ოჯახის ბურჯი, სანამ ადგება ჯერ პირველი ისწორებს თავშალს, ვერ მორჩენილ და ვერ უზბიდულ ტკივილთა ხურჯინს. ბაბუაც ღვება, მხრებს ისწორებს, ღვება და ჯავრობს, რომ უკვე ვეღარ ეხილება ცოლსა და შვილებს და რომ მუხლებიც აღარა აქვს იმდენად სანდო, რომ წინ ჩაუდგეს ჭალებიდან მომავალ ურემებს. მე შენ რა გითხრა, რა ვიამბო, ჩემო იველინ, როცა სოფლისა არა იცი, ვერ შეიმეცნე. შენ მზის მაგივრად ცათამბჯენებს ხედავ პირველი და მინდვრის სურნელს “ტროტუარის” მტკვრით ანაცვლებ. ჩვენ მზის ამოსვლას ფეხზე ვხვდებით მკისას, თიბვისას და სულერთია, რომ ამინდი ავდრობს თუ დარობს. მუდამ ასეა ჩვენთან ყველა შემოდგომისას, უფლის იმედით, უფლის რწმენით ვცოცხლობთ და ვწვალბო ჩვენ ასე ვმრობობთ და არ ვიმჩნევთ დაყოფილ ხელებს და ეს წვალება დასრულდება, ალბათ, აროდის. გიხსენებ მშვიდს და მოდიმარს და ხშირად გიხსენებ, როგორ გიყვარდი, როგორ გწამდი, როგორ გჯეროდი. ჩვენსას სხვაგვარი შემოდგომა იცის იველინ, ჩამოეშვება სილაღის და სიყვითლის ფარდა და ყველაფერი გაყვითლდება ირგვლივ ყოველი, მაგ შენი მწვანე და დიდრონი თვალეების გარდა.



ახალი ლექსები

სადა ხარ, სად დამეკარგე!

ჭიშკართან მაინც ხანდახან რომ ჩაიარდე რა მიჭირს!.. გულს გამკენწლადა თუ ოდნავ შეგემლეუბოდა ნაბიჯი... სადა ხარ, სად დამეკარგე? არც გზად მხედები და არც სიხმრად მე ხომ ბედისგან დასჯილი ერთი საწყალი კაცი ვარ?! მთელი ცხოვრება ბორილის მოუხდი, ისე დაგებრდი. დღემდე რატომღაც მგონია არც შენ მწყალობ და არც ბედი.

ნატავი როდის გაიხივება

გზად რომ შემხვდები ნათდება გული, ცაც უფრო მწველია... ვმალე და ვერსად დავმალე ის რაც თვალეებში წერია... რა მოუხერხო თავნება ფიქრებსაც, გული რა მოგდის?! ისეთ დღეში ვარ ბოლო დროს რომ ლექსიც კი არ გამოდის!.. რატომღაც მაინც მგონიხარ ავი და მიუკარება, დასჯილი მოსწავლესავით ატუხული ვარ კარებთან... ვაკაკუნებ და არ მიღებ, უშენოდ რა მეცოცხლება?! ნეტავი როდის გამოიგებ, როდის ამიხდენ ოცნებას?!

გაბის ისევ მოილო გული

რა ცეცხლით დამწვი და მომიფიდე, როდემდე ვლიო ნეტა ამ ქარებს?! სანამ აღმართში ფეხს მოვიფიდე, მანამ დაღმართი ქვემიმაქანებს!.. თვალი კი, თვალი რბის შორად, ცისად... გულიც ამოდ ნერვებს ასცდება, არ უწერია წუხანდელ სიხმარს არც ფიქრებს ჩემსას დღეს აცხადება!

ვით პატრონისგან გამეტებული გადაგებული ცინდალი ვკნავი... ეგების ცოტად მოილო გული მიმადლებინო შენ მყერდზე თავი.

ბოლი და დამავრთვინი

გადაიარეს ღრულებმა თითქო მზეც დაწნდა ცაზედა, ფიქრებს კვლავ ვნებთ მივდენი მთებს გაღმა იალაღზედა... თუმც მტკვარი მძიმედ დღუნებს არაგვის წყალს რომ ჩვეულა, ამ გულს ვერ დააურდულე ვერ გამოიეტა ეულად!.. კაკასიონის მთებივით თითქოსდა მიუკარები, დარიალივით ღია მაქვს შენთვის სულ გულის კარები. შემოაბიჯე, შემოდი... კვლავ შენთან ვიფრენ ვიფერებ, მოდი და დამაფრთხობინე კარზე მომდგარი სიბერე.

შამინლა წინდაო გააო

ცა როა, მზე როა, მერე რა... ან ჩემთვის, ან შენთვის... ამოდ ვფიქრობდი ვერ მომერევა, მაინც მომერია მამაო!.. ვერ ავხსენ ამირანს ბორილი, ვერც ცეცხლი მოგტაცე დმერთებს... ეშმა მომდგეს და მომივოს, მისხენი, მამაო გვედრებ!.. ცოდვილი მუხლებზე დავეცი, შემინდე უნებლიე ცოდვა, რაც გასაცემი მქონდა, გავეცი... და მაინც მგონია ვცოდავ! - და მაინც იმ მოწვილ სამსალას ვცლი და ვეღარ ვცლი, ამაო ყოფილა წუთისოფელი შემინდე წმინდაო მამაო.

ლანა გავრთვილი

ასწლოვანი სკოლა აბუსერიძისძე ნაფშარში

ასე ჰქვია წიგნი, რომელიც ახლახან მიიღო და სამაგიდოდ გაიხადა ჩვენი ისტორიით დაინტერესებულმა მკითხველმა.

წიგნი ერთობლივი ნაშრომია და ეძღვნება ხულოს მუნიციპალიტეტის აბუსერიძის ტბის სახელობის თხილვანის საჯარო სკოლის დაარსების 100 წლისთავს. ავტორები არიან ამავე სკოლის აღზრდილები, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: სერგო ღუმბაძე, ნიკოლოზ ღუმბაძე, შოთა ბოლქვაძე.

ტბელ აბუსერიძისძე კი XIII საუკუნის საუკეთესო მწერალი, ღვთისმეტყველი, მეცნიერი, პედაგოგი, გენიალური რუსთაველის უმცროსი თანამედროვეა.

წიგნის შექმნის იდეა ამ ოცი წლის წინ, 1996 წელს დაბადებულია, მაშინ, როცა სკოლა დაარსების 80 წლისთავს შეიმობდა. თხილვანის სკოლის მამინდელი დირექტორის, შოთა ბოლქვაძის წინადადებით, სკოლის გახსნის 100 წლი-

სთავთან დაკავშირებით გადაწყდა დაწერათ ამ სკოლის მრავალწლიანი, სიმრავლით აღსავსე, ისტორიული პროცესებით გაჯერებული წიგნი.

აღსანიშნავია, რომ ამ რთული და დიდი მუშის მისაღწევად ავტორებს ჯეროვანი შრომა გაუწევიათ, ენერგია დაუხარჯავთ ერის, ქვეყნის ინტელიგენციის მედროშეების ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების ეროვნული ღვაწლისა და აჭარის მხარეში სწავლა-განათლების დარგში გაწეული ამაგის წარმოსახვად.

წიგნი კუთვნილი ადგილი აქვს დათმობილი პირველი ქართული სკოლების გახსნას აჭარაში, კერძოდ, სოფელ თხილვანში. სწორედ ამ სკოლის გახსნით ჩაეყარა საფუძველი აჭარის სოფლებში სკოლების განვითარებასა და ახალგაზრდების მასობრივი სწავლა-განათლების საქმეს. ამის შემდეგ მართლაც "ერთის მაგიერ ათასმა სხვა სანთელმა

დაიწყო ლაპლაპი" (ილია). წიგნი ავტორის მიერ დასაბუთებულად არის ასახული სკოლების ქსელის განვითარება საბჭოთა პერიოდში. ნაჩვენებია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადება. სკოლების უზრუნველყოფა პედაგოგებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლის პროცესში ჩაბმა, მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და თანამედროვე განათლებული საზოგადოების მომზადება.

წიგნი ნათლად ნაჩვენებია შედეგები, რომლებიც მიღწეულ იქნა ასე წლის განმავლობაში ჩვენი შორეული წინაპრების - აბუსერიძისძეთა საცხოვრისზე. ახსნილია, თუ როგორ დაიარსდა მთელი ქართული ერი აჭარის მხარეში ანუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სწავლა-განათლების საქმის ეროვნულ ნიადაგზე წასამართავად, როგორი ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოვლინებულ

აღმზრდელ-პედაგოგებს, რომელთა დაუღალავი შრომის შედეგად დაძლეული იქნა ჩამორჩენილობა მოსახლეობის განათლების თვალსაზრისით, დასაბამი მიეცა საერთო აღორძინებას.

წიგნი სწავლა-განათლებასთან ერთად კავშირში ნაჩვენებია მხარის მკვიდრთა მიღწევები მეცნიერებაში, ცალკეულ მეცნიერებათა დამსახურება სხვადასხვა დარგში. წარმოჩენილია მოწინავე ადამიანების ღვაწლი. წიგნი შედგენილია საარქივო დოკუმენტების, სპეციალური ლიტერატურის, პრესაში გამოქვეყნებული მასალების, ოჯახებიდან მოწოდებული მონაცემების, პედაგოგთა წერილების, მოგონებებისა და სხვათა საფუძველზე, რაც განუზომლად ზრდის მის მნიშვნელობას, უქმნის მყარ ნიადაგს, ანიჭებს დამაჯერებლობას.

საინტერესოა წიგნის არქიტექტონიკა. იგი 411 გვერდია და შედგება ავტორების წინათქმისაგან, შესავლისა, 5

განყოფილების, 28 პარაგრაფისა და დასკვნისაგან. დართული აქვს ფოტოსურათები და გამოყენებული ლიტერატურისა და სხვა მასალების სია. დამზადებულია პოლიგრაფიულად უმაღლეს დონეზე.

წიგნი "ასწლოვანი სკოლა აბუსერიძისძე ნაფშარში" ფრიად სასარგებლო, მაღალი დონის მეცნიერული ნაშრომია, რომელიც ბევრს ისწავლის და გაიგებს თანამედროვე მკითხველი. კიდევ მეტი ღირებულება გააჩნია მას სამეცნიერო წრეებისათვის. ჩვენ კი გვინდა, ერთი რამ ხმაამაღლა განვაცხადოთ: მოდით, ჩვენც შევისწავლოთ ჩვენი სკოლის ისტორია, რადგან, როგორც დიდი ილია გემოდღვრავს: "ყოველი ერთი თავის ისტორიით სულდემკულობს!"

გვლენიან თხილვანში
აკალამდინო

რა ენა წახდეს

ათობით, ასობით უცხო სიტყვა დაკვიდრდა თანამედროვე ქართულში, მიუხედავად იმისა, რომ შესატყვისი მნიშვნელობის სიტყვები მშობლიურ ენაშიც მოგვეპოვება...

პრეფექტი - (ლათინური სიტყვაა) საფრანგეთსა და რიგ სახელმწიფოებში დეპარტამენტის სათავეში მდგომი თანამდებობის პირი, რიგ ქვეყნებში - პოლიციის უფროსი.

ძველ რომში პრეფექტი ეწოდებოდა ადმინისტრაციულ და სამხედრო თანამდებობის პირს.

პრეფექტურა - რიგ სახელმწიფოებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველობის ორგანო.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1991 წლიდან, საქართველოში ქალაქებსა და რაიონებს პრეფექტები მართავდნენ, მმართველობით ორგანოებს კი, შესაბამისად პრეფექტურები ეწოდებოდა.

მუნიციპალიტეტი - (გერმანული სიტყვაა) ქალაქის (რაიონის) ან სოფლის თვითმმართველობის ორგანო, რიგ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. მაგალითად: მუნიციპალიტეტის მერი, საერებულოს თავმჯდომარე და ა. შ.

ძველ რომში მუნიციპალიტეტი თვითმმართველობის უფლების მქონე ქალაქებს ეწოდებოდა.

დეპუტატი - (ლათინური სიტყვაა) არჩევითი სახელმწიფო დაწესებულებების წევრი, არჩეული წარმომადგენელი. მაგალითად, საერებულოს, პარლამენტის... დეპუტატი.

იმპიჩმენტი - აშშ-ში, ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედებისათვის. შემდეგ სიტყვა, მცნება განზოგადდა არა მარტო პრეზიდენტზე და ნიშნავს არჩეული პირისათვის უნდობლობის გამოცხადებას, გამოწვევას. მაგალითად, იმპიჩმენტი (უნდობლობა) გამოუცხადეს და ა. შ.

მერია - (ფრანგული სიტყვაა) რიგ ქვეყნებში თვითმმართველობის ორგანოები.

მერი - მერიის მეთაური, მაგალითად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, თბილისის, ქუთაისის... მერი და ა. შ.

სპიკერი - (ინგლისური სიტყვაა) ინგლისში, ამერიკაში და ა. შ. წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე. არაპირდაპირი მნიშვნელობით არცთუ იშვიათად თავმჯდომარის სინონიმდაც იხმარება, მაგალითად, პარლამენტის სპიკერი და ა. შ.

პარლამენტი - (ფრანგული სიტყვაა) ქვეყნის, სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ არჩევითია.

ვიცე - (ლათინური სიტყვაა) აღნიშნავს მოადგილეს, შემცველს, მაგალითად, ვიცე-პრეზიდენტი - პრეზიდენტის მოადგილე, მონარქიულ ქვეყნებში ვიცე-მეფე - მეფის მოადგილე.

კალიცია - (ლათინური სიტყვაა) სახელმწიფოების, პარტიებისა და სხვათა შეთანხმება, კავშირი საერთო მიზნების მისაღწევად.

კორუფცია - (ლათინური სიტყვაა) პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა, თანამდებობის პირთა მოსყიდვა, მოქრთამვა.

რეზოლუცია - (ლათინური სიტყვაა) კრებაზე, ყრილობაზე, კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილება, ან თანამდებობის პირთა წერილობითი დასკვნა - წარწერა საქმიან ქალაქზე.

სუბსიდი - (ლათინური სიტყვაა) ფულადი ან ნივთიერი დახმარება, რომელსაც უწევს სახელმწიფო ადგილობრივ ორგანოებს, ფირმებს, ცალკეულ პირებს, ან სხვა სახელმწიფოებს.

აქვე უნდა ითქვას ერთ უხერხულობაზეც. მაგალითად: ვამბობთ - სამტრედიის, ვანის... მუნიციპალიტეტის მერი, მუნიციპალიტეტის მერია. ამავედროულად ვმეტყველებთ და ვწერთ, შესაბამის აბრეშვე ვკითხულობთ: რაიონული სასამართლო, რაიონული პოლიცია, რაიონული პროკურორი და ა. შ.

საკითხავია, როცა მუნიციპალიტეტს ვამბობთ, მაშინ რიგ შემთხვევებში რატომ ვწერთ, ვსაუბრობთ, რაიონული? რომელია მართებული?

ყოველ შემთხვევაში, ორივე ფორმის ერთდროული ხმარება ნამდვილად არასწორია.

ლევან ბაგრატი

ახირებული სანადლეო, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა მეცნიერებაში...

1775 წლის 9 ივნისს გერმანიის ქალაქ მიუნდენში დაბადებულ გეორგ ფრიდრიხ გროტენდის, რომელიც პროფესიით ფილოლოგი გახლდათ, 27 წლის ასაკამდე რაიმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენა არ გაუკეთებია და მისი ცხოვრებაც ერთბაშე უშფოთველად მიმდინარეობდა. თუმცა, ალკობოლური სასმელით შეზარხოშებულმა 27 წლის გროტენდისმა თავის მეგობრებთან ძალიან ახირებული და იმ პერიოდისათვის თითქმის შეუძლებელად მიჩნეული სანადლეო დაიღო. ის დანიშნავდა, რომ ლურსმნული ტექსტების გაშიფვრასა და წაკითხვას შეძლებდა.

როგორც ცნობილია, პირველი ცნობები ლურსმნული (სოლისებრი) დამწერლობის არსებობაზე XVIII საუკუნეს განეკუთვნება. ცნობილია ისიც, რომ ამ წარწერების პირველი ასლები ევროპაში გამოჩენილმა იტალიელმა მოგზაურმა - პიეტრო დელა ვალემ გაგზავნა. მას შემდეგ მრავალი კვალიფიციური ლინგვისტი და მეცნიერი ცდილობდა ლურსმნული დამწერლობის გაშიფვრას, თუმცა - ამაოდ. შესაბამისად, გროტენდის სანადლეოს წაკითხვას ვეღვა უწინასწარმეტყველებდა. საფურადღებოა ის გარემოება, რომ პეორგს პერსეპოლისის უხეირო ასლების გარდა სხვა არაფერი გააჩნდა ლურსმნული დამწერლობისა. მიუხედავად ამისა, იგი წამოჭრილ პრობლემებს არ შეეპუა და აქტიურად და თავდაუზოგავად დაიწყო აღნიშნული საკითხის ირგვლივ კვლევები. სანადლეოს დადებიდან რამდენიმე ხანში კი გროტენდისმა თავისი კვლევების პირველი შედეგები მეცნიერებათა აკადემიას წარუდგინა, რამაც უდიდესი ფურორი მოახდინა. სწორედ გროტენდისმა გახლდათ ის პირველი ადამიანი, რომელმაც გამოიგონა ლურსმნული დამწერლობის პირველი ნიმუში, რითაც უდიდესი წვლილი შეიტანა მის მიერ დადებულმა სანადლეომ, რომელიც შეზარხოშებულმა დაღო. მალევე გეორგის მიერ ლურსმნული დამწერლობის გაშიფვრა არა მხოლოდ გენიოსის ნამოქმედარად იქნა აღიარებული, არამედ იგი მიჩნეული იქნა ადამიანის გონების ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად მეცნიერებაში.

Genia.Ge




ხოვოხ გაჟმასჰინძრა ჩაჩრ V ჰაბსბურგის იუჯეჩების საკვაჩყოლო?

როგორც ცნობილია, XV-XVII საუკუნეების ერთ-ერთ უმდიდრეს ევროპელ ბანკირებს ფუგერების გერმანული საგვარეულო წარმოადგენდა. XVI საუკუნეში ამ საგვარეულოს წილად ხვდა პატივი, საკუთარ სასახლეში სტუმრად მიეღო საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი კარლ V ჰაბსბურგი (1500-1558 წლები). ესოდენ საპატიო სტუმრის ვინაობა ფუგერები განუზომლად გაახარა და იმპერატორს უმაღლეს დონეზე დაეკავშირებინა. საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის უმაღლესი ხელისუფლებით დაიწყო ბუხრის გამართვა. იმპერატორის დიდი პატივისცემის ნიშნად, ჩვეულებრივი შემოს ნაცვლად ცეცხლის გასაჩაღებლად დარიჩინის მებრუნასი ხის ქერქი გამოიყენა. აღნიშნული მცენარის ქერქი დღევანდელი დღისათვისაც კი ერთობ ძვირი ღირს. იმ პერიოდში მისი ფასი კიდევ უფრო დიდი გახლდათ. თუმცა ეს კიდევ არ იყო ყველაფერი. მას შემდეგ, რაც უფროსმა ფუგერმა ბუხარი გამართა, იმპერატორის წინაშე მუხლებზე დადგა და სთხოვა, ნება დაერთო ბუხარში ცეცხლი კარლ V-ის მიერ ხელმოწერილი ერთ-ერთი დოკუმენტის გამოყენებით გაეჩაღებინა. ასეთმა უცნაურმა თხოვნამ იმპერატორი ერთბაშე გააკვირვა, რის გამოც დოკუმენტზე თვალის შევლება მოითხოვა. როდესაც კარლი მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის შინაარსს გაეცნო, კმაყოფილმა შესძახა: "რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ნებას გრთავთ!" თავის მხრივ აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენდა რომის საღვთო იმპერიის იმპერატორის იმ ვალდებულებას, რომლის თანახმადც კარლი უცვილობელ ვალდებულებას იღებდა საკუთარ თავზე, ფუგერებისათვის დაეზრუნებინა მის მიერ ვალად აღებული უზარმაზარი თანხა 50 000 ტალერის ოდენობით.

Genia.Ge

როლეზ გობიოვილი გარდაიცვალა!



ელვის სისწრაფით მოელო ქალაქს... ააცრემლა ყველა, ვინც იცნობდა და ვინც არა. თუმცა, ალბათ არ არსებობდა ადამიანი სამტრედიასში, განურჩევლად ასაკისა, თუ პირადად არა, რომ არ სძენოდა კაცზე ამ სახელითა და გვარით.

უყვარდა სამტრედიას და უყვარდათ სამტრედიელებს. უყვარდათ მისი ადამიანური თვისებების, პროფესიონალიზმის, სამშობლოსადმი, მეგობრისადმი, საქმისადმი მისი დამოკიდებულების გამო.

როლეზ გობიოვილი ქალაქი დარღობს, თეატრალური და არა სამტრედიის და არა მხოლოდ სამტრედიის, დარღობს, თანამებრძოლები დარღობენ სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლს.

როლეზ გობიოვილი გარდაიცვალა... სასუფეველი დაუმკვიდროს არსთა გამრიგებ!

თან გახსენებული

შინდისში გმირულად დაღუპულ ლევან მელქაძის გახსენება

2017 წლის 8 აგვისტოს საქართველომ დიდი პატივი მიაგო 9 წლის წინ დაღუპულ ქართველ მებრძოლთა ხსოვნას.

აგრესორი რუსეთი 2008 წლის 8 აგვისტოს ვერაგულად შემოიჭრა ცხინვალის რეგიონში.

ერთ-ერთი ასეთი ოცნებული სოფელი შინდისთან ჩასაფრებულ რუსეთის ჯარის ნაწილს გადაეყარა. რუსმა ოკუპანტებმა დანებება მოთხოვა ქართველ ოცნებებს. ქართველები არ დანებდნენ და გაიმართა უთანაბრო ბრძოლა. მათგან 17 ქართველი ვაჟკაცი გმირულად დაეცა შინდისთან ბრძოლაში.

მათ შორის იყო ქალაქ სამტრედიის მკვიდრი, № 3 საბავშვო ბაგაბაღის აღზრდილი ლევან მელქაძე.

ლევანის სახლი № 3 საბავშვო ბაგაბაღის წინ მდებარეობს. მისი მშობლები, ქალბატონი ქეთევანი და ბატონი თამაზი ბაგაბაღის მუშაობის დამხმარეები იყვნენ. აქ მათ სამი შვილი აღზარდეს. ლევანისათვის ბაღი და სახლი განუყოფელი იყო. მას ღმერთისგან მომადლებული ჰქონდა ცოდნის შექმნის სურვილი. იგი ყოველთვის ვურადლებით უსმენდა აღმზრდელებს. უყვარდა მუსიკა, ჭადრაკი, ფეხბურთი, უყვარდა თანატოლები.

ჩვენ, ბაღის მუშაკები, პატარობიდანვე ვუჩერავდით ბავშვებს დედ-მამის, დაძმების, ნათესავების, მოხუცი ბებია-ბაბუების, აღმზრდელების პატივისცემას და სიყვარულს, სამშობლოს სიყვარულს.

აი, ასეთი სიტყვებით ვულოცავდით გზას სკოლაში მიმავალ ჩვენს აღზრდილებს.

ჩვენო პატარა მეგობარო, მომავლის დიდი იმედო! შენ დაიბადე ქართველად, შენ გზრდის საქართველო! ჩვენ შენი იმედი გვაქვს, რომ ასახელებ საქართველოს! დაიცვა და განადიდებ მის სახელს. გაამრავლებ ქართველებს! მუდამ გახსოვდეს, რომ შენ ხარ ქართველი და შენი ვალია გიყვარდეს ქართველები! იყავი ერის ერთგული, პატრონი!

ჩემი ავტობიოგრაფიული ლექსებით აღსაზრდელს ვასწავლი, რომ ისინი

ნი ქართული ხალხური ფოლკლორის აღმსრულებელი უნდა გამხდარიყვნენ, ალგეთის ლეკვებად გაზრდილიყვნენ.

ჩვენ, მთელ კოლექტივს გამორჩეულად გვიყვარდა ლევანი. მისი დაღუპვის ამბავი

რომ შევიტყვეთ, ყველამ ისე განვიცადეთ, თითქოს ჩვენი ოჯახის წევრი დაგვარებო.

მართალია გვიმძიმს, მაგრამ კიდევ გვეამაყება რომ სამშობლოს დასაცავად გმირულად დაიღუპა ლევან მელქაძე.

“სამტრედიის მე-11 საჯარო სკოლაში გაიხსენა ლევანისა და მარლენ ბარამიას ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი.

ლევანის ვაჟიშვილი მათე გულდასმით ფურცლავს ალბომს და სათუთად ეყვრება მამიკოს სურათებს”. წერს მწერალი

ბატონი თემურ ჯულაყიძე წიგნში “შინდისის გმირები”.

ქართველი გმირი ლევან მელქაძე, მისი შვილის მათეს საამაფო მამაა.

დედას, ქალბატონ ქეთევანს და მამას ბატონ თამაზს ვერაფრით ვანუგეშებ, მაგრამ ფაქტია, რომ კარგი შვილი აღზარდეს და სამართლიანად უნდა იამაფონ მისით.

ჩვენი და ჩვენი შვილების ვალია პატივი მივაგოთ შინდისის გმირებს და მოვიგონოთ ისინი პატივისცემით, სიყვარულით, რომ მათ მაგალითზე აღიზარდოს მომავალი თაობები.

მინდა, მაღლობა გადაეუხადო ჩვენი ქალაქის მკვიდრს, მწერალთა კავშირის წევრს, ნიკო ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატს, ბატონ თემურ ჯულაყიძეს. მან დიდებული საქმე გააკეთა, რომ დაწერა წიგნი “შინდისის გმირები”, რომელშიც აღწერა შინდისის გმირთა ცხოვრება და მათ ლექსები მიუძღვნა.

წიგნის გამოცემაში ბატონ თემურს დაეხმარა ცნობილი ფეხბურთელი, ამჟამად ქალაქ თბილისის მერი, სამტრედიის საამაფო შვილი, ბატონი კახი კალაძე. მაღლობა მას.

ანა მელქაძე
 ქოროლი № 3 საბავშვო
 ბაგაბაღის მუშაობის
 მასწავლებელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კულტურის ცენტრისა და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი და მსახიობი

როლეზ გობიოვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი და თეატრი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კულტურის ცენტრისა და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი და მსახიობი

როლეზ გობიოვილი

და თანაუგრძნობენ ოჯახს.

“სამტრედიის მაცნეს” რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა რეჟისორი და მსახიობი

როლეზ გობიოვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა იუწყება, რომ გარდაიცვალა

როლეზ გობიოვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ანზორიკო გავასს მონატრება

ჩემო ბედდამწვარი ანზორიკო, სამი ტანჯული წელი გავიდა იმ ავადმოსავონარი დღიდან, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ. გვიმუხთლა ბედმა. ჩემო უჭკვიანესო ბიჭო, ვერაგმა სიყვდილმა არც უნივერსიტეტის დამთავრება დაგაცალა, არც ჩაფიქრებული გეგმის განხორციელება და მოულოდნელად, ოცდარი წლის ასაკში უდროოდ ჩააქრო შენი ღამაში სიცოცხლე. მაინუმა დიდი სიყვარულით და სითბოთი სავსე შენი გულისცემა. ჩემო სიყვითი და ვაჟკაცობით გამორჩეული ერთადერთო შვილიშვილო, მიმძიმს უშენობა, ყოველდღე გელოდები, ჭიშკრისებურ ვიხედები, მგონია მოხვალ და ისევ ერთად ვიქნებით.

მაგრამ...

ვერ ვიჯერებ, რომ აღარ მოხვალ. სულს იმით ვიამებ, რომ შენ ყველაზე სათნო, ყველაზე თბილ ადგილზე ხარ სამოთხეში, მარადიულ ნეტარებაში. ანზორიკო მანდ არაფერი მოგაკლდება, მაგრამ ჩვენ, შენს ოჯახს, ახლობლებს, სამშოს, მეგობრებს ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. მუდამ ჩვენს გულში იცოცხლებ ბებიო. შენ ჩემი მოუშუშებელი ტკივილი ხარ. ვერაფერი გაამრთილებს ჩემს გულს. ანზორიკო მიყვარხარ და უხომოდ მენატრები!

შენი მამაშვილები ოჯახი



ნსოვნა

ნინა მასწავლებელი

1954 წელს დავამთავრე რეინიგზის 24-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს გამოცდებს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ვაბარებდი. ქიმიის გამოცდაზე “ფრიალი” რომ დაეწერათ, კომისიის თავმჯდომარის რამდენიმე კითხვამ პასუხი იყო გასაცემი. საკმარის რთულ შეკითხვებს კარგად ვუპასუხე. კომისიის თავმჯდომარე მეკითხება, საიდან ხარო, ქიმიის ვინ გასწავლიდათ? სამტრედიიდან, ნინა წიქორიძე-მეთქი, რომ ვუპასუხე. ქალს სახე გაუბრწყინდა. კომისიის წევრებს მიუბრუნდა და ეუბნება: მე და ნინამ უნივერსიტეტი ერთად დავამთავრეთ. ნინა თავისი ცოდნით სტუდენტებს შორის გამორჩეული გახლდათ, მისი მოსწავლის ცოდნაში ეჭვი არ შეპარებო და მაშინვე შეკითხვის გარეშე “ფრიალი” დამიწერა.

თვალნათლივ მაგონდება ნინა მასწავლებელი, სათნოებით სავსე ქალბატონი, გაკვეთილზე ღიმილით შემოსული, ყველას სულში და გულში ღრმად რომ იხედებოდა. ქიმიის რთულ ფორმულებს პროფესიული ცოდნის დონით გვიხსნიდა, არ იშურებდა ენერჯისა.

ნინა მასწავლებელი ამიერკავკასიის რეინიგზის სკოლების სისტემაში საენის საუკეთესო მასწავლებლად მოიაზრებოდა. მე ვამაფობ, რომ მისი მოსწავლე ვიყავი.

შენი ნინა
 მასწავლებელი

ნათელა გელევიშვილი, თამაზ მიქაძე, ბორის ფოცხვერაშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გორმადლის სასოფლო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, ქალბატონი

ნელი გეგუაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ტროლეიბუსის შექმნის სათავეებთან...

ეკოლოგიურად სუფთა საქალაქო ტრანსპორტის ერთ-ერთი საშუალება ტროლეიბუსი, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს მრავალადგილიან ურელსო ელექტრო სამგზავრო მანქანას, პირველად გერმანიაში შეიქმნა. იგი გამოგონებულ იქნა ცნობილი გერმანელი ინჟინრის, გამოგონებლისა და გერმანული ტრანსნაციონალური კონცერნის "Siemens"-ის ფუძემდებლის, ვერნერ ფონ სიმენსის მიერ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ტროლეიბუსის შექმნის იდეა ვერნერმა ინგლისში მცხოვრები ინჟინერი მისიგან, კარლ ვილჰელმ სიმენსისაგან მიიღო. მან 1881 წლის 18 მაისს ინგლისის სამეფო-სამეცნიერო საზოგადოების ოცდამეორე სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას სრულიად ახალ, ინოვაციურ სატრანსპორტო საშუალებაზე, ტროლეიბუსზე გააცნო ინფორმაცია, თუმცა, ინგლისელი მეცნიერები დიდად არ მოუხიბლავს და არ დაუინტერესებია კარლის იდეას. შედეგად, ტროლეიბუსის შექმნის სათავეებთან არა ინგლისელები, არამედ გერმანელები აღმოჩნდნენ. პირველი ექსპერიმენტალური სატროლეიბუსო ხაზი 1882 წელს ბერლინის სიახლოვეს მდებარე ჰალენზეში გაიხსნა. მისი სიგრძე სულ რაღაც 540 მეტრი გახლდათ და მოქმედებდა 1882 წლის 29 აპრილიდან 13 ივნისის ჩათვლით.

Genia. Ge



იუჯინ პოლი – “უსადენო სატელევიზიო მართვადი პულტის გამომგონებელი”

იუჯინ პოლი დაიბადა 1915 წლის 29 ნოემბერს, ილიონისის შტატის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ ჩიკაგოში. იგი წარმოადგენდა იმ დიდ ამერიკელ ინჟინერსა და გამომგონებელს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა დღევანდელი საყოველთაოდ ცნობილი “უსადენო სატელევიზიო მართვადი პულტის” გამომგონებას. 1935 წელს, იუჯინმა მუშაობა კომპანია Zenit Radio Corporation-ში დაიწყო. 1955 წელს კი პირველმა შექმნა უსადენო სატელევიზიო დისტანციური სამართავი პულტი “Flash-Matic”. თავდაპირველად მისი ერთადერთი ფუნქცია მხოლოდ არხების გადართვა იყო. პრინციპი აღნიშნული ინოვაციური გამომგონებისა, დაფუძნებული გახლდათ სინათლის სხივების, ფოტომგრძობიარე ეკრანის კუთხისაყენ მიმართვასა და გააქტიურებაზე, რომელიც იწვევდა ერთი არხიდან მეორე არხზე გადართვას ყოველგვარი კაბელის გარეშე. მისი გამოგონება, იმდენად მოიწონეს, რომ ყოველგვარი პრობლემების გარეშე იქნა დაპატენტებული. მალევე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ იუჯინ პოლის ინოვაციური გამომგონება უდიდესი დანიშნულების მატარებელი იყო ტელევიზიის და მოგვიანებით კინემატოგრაფიის განვითარების მხრივაც.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ცნობილი გამომგონებელი ამერიკელი არმიისთვის სარადარო სისტემების სრულყოფა-დახვეწაზე მუშაობდა. თავისი სამსახურებრივი კარიერის 47 წლის განმავლობაში, მან დიდ წარმატებას მიაღწია კომპანიაში. იგი ჯერ დაინიშნა ვიდეოჩამწერი სტუდიის ხელმძღვანელად, ხოლო მოგვიანებით კი ამავე კომპანიის შეფის მოადგილედ. 1997 წელს, იუჯინ პოლი და მისი ავსტრო-ამერიკელი კოლეგა რობერტ ადლერი, რომელიც ასევე მრავალი გამომგონების ავტორი გახლდათ, დაჯილდოვებულ იქნენ ამერიკის სატელევიზიო ხელოვნებისა და მეცნიერების “ემის” პრემიით როგორც: “პიონერები უსადენო სატელევიზიო სამართავი პულტის შექმნისა”.

იუჯინ პოლი გარდაიცვალა 2012 წლის 23 მაისს მშობლიურ ქალაქ ჩიკაგოში. მის მიერ გამომგონებული სატელევიზიო პულტის გარეშე, რომელიც წლების შემდეგ კიდევ უფრო დაიხვეწა, დღევანდელი წარმოადგენელია არა მარტო ტელევიზორის, არამედ ზოგადად, მთელი სატელევიზიო სივრცის მუშაობა.

Genia.Ge



ამ ბოლო დროს ისე ცეკვავ, დაგჭირდება ალბათ “ბორკვა”. გენიოსი კაცი ხარ და ძაან მოგვწონს შენი როკვა.

ვულოცავთ!

ვეტერანთა რაიონული კავშირის გამგეობის წევრს, ქალბატონ დარეჯან ქავთარიას ვულოცავთ დაბადების დღეს, წარმატებებსა და ღვთის წყალობას ვუსურვებთ.

გვამარტოს რაიონული კავშირი

გილოცავთ დაბადების დღეს. არასოდეს მოგკლებოდეთ ჩვეული შემართება და ერთუზიანობა. მუდამ ღმილიანი გვენახე.

“საბრძოლის მაცნე”



რედაქციის მისამართი:
საბრძოლია, რუსუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე
საბრძოლის

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაჭავაძე
გამომშვები რედაქტორი თამაზ ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუნაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე